

# შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

## სარჩევი

### დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

#### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება .....	8
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება .....	9
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება .....	10
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება .....	11

#### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა .....	11
2. მომზადების საფუძველი .....	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა .....	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები .....	23
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები .....	24
6. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები .....	24
7. საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები .....	28
8. საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები .....	29
9. გადასახადები .....	29
10. ძირითადი საშუალებები .....	30
11. სხვა აქტივები .....	30
12. სხვა ვალდებულებები .....	31
13. კლიენტებისგან მიღებული ავანსები .....	32
14. სასესხო კრედიტორული დავალიანება .....	32
15. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები .....	32
16. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში .....	32
17. საიჯარო ვალდებულება .....	33
18. საკუთარი კაპიტალი .....	33
19. სხვა შემოსავალი .....	34
20. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....	34
21. ფინანსური რისკის მართვა .....	35
22. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი .....	40
23. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან .....	41
24. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა .....	42
25. აქციებზე დაფუძნებული გადახდები .....	44
26. სასამართლოში საქმის წარმოება .....	44
27. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები .....	44



**Building a better  
working world**

EY LLC  
Kote Abkhazi Street, 44  
Tbilisi, 0105, Georgia  
Tel: +995 (32) 215 8811  
Fax: +995 (32) 215 8822  
www.ey.com/ge

შპს იუაი  
საქართველო, 0105 თბილისი  
კოტე აფხაზის ქუჩა 44  
ტელ: +995 (32) 215 8811  
ფაქსი: +995 (32) 215 8822

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ პარტნიორს

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

#### მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიისა“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ერთად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

#### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA-კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

#### აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნით მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ. ქვემოთ, თითოეული საკითხისთვის მოცემული განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩვენივე აუდიტის კონტექსტში. ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რითაც შევაფასებდით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.



**Building a better  
working world**

**აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი**

**რამდენად ითვალისწინება ჩვენი აუდიტი მნიშვნელოვან აუდიტორულ საკითხებს**

**ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფასს (IFRS) 9-ის („ფინანსური ინსტრუმენტები“) საფუძველზე.**

ჯგუფის ფინანსური პოზიციისთვის წმინდა ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ფასს (IFRS) 9-ის („ფინანსური ინსტრუმენტები“) ფარგლებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებასთან დაკავშირებული კომპლექსურობიდან და მსჯელობებიდან გამომდინარე, ჩვენ ეს სფერო აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხად მივიჩნით.

მსჯელობის მნიშვნელოვანი სფეროები მოიცავდა შემდეგს:

- ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასაანგარიშებელი მოდელის ასაგებად გამოყენებული სააღრიცხვო ინტერპრეტაციები და მოდელირებასთან დაკავშირებული დაშვებები;
- ▶ იჯარების პირველი, მეორე და მესამე ეტაპზე განაწილება, ფასს (IFRS) 9-ის შესაბამისად განსაზღვრული კრიტერიუმების გამოყენებით;
- ▶ სხვადასხვა ეკონომიკური სცენარების გავლენის შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და დაშვებები;
- ▶ დეფოლტის ალბათობის (PD), დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების (LGD) და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების (EAD) შეფასება, უზრუნველყოფის საგნის შეფასების ჩათვლით; და
- ▶ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების შეფასება.

რეზერვის დადგენაში გამოყენებული მსჯელობის შედეგად, სხვადასხვა მოდელირების მეთოდის, დაშვებისა და პროგნოზის გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის მნიშვნელოვანად განსხვავებული შეფასებები.

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია შესულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-6 შენიშვნაში, „ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები“ და მე-21 შენიშვნაში „რისკის მართვა“.

ჩვენ შევისწავლეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცესი და ჩვენი შიდა მოდელირების სპეციალისტების მხარდაჭერით, შევაფასეთ ჯგუფის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია.

აუდიტის განმავლობაში, ძირითადად, შემდეგი საკითხები გავაანალიზეთ:

- ▶ საკრედიტო რისკის მოდელის და მნიშვნელოვანი პარამეტრების ინციალიზაციის შეფასებაში გამოყენებული დაშვებების შეფასება და განვსაზღვრეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი პორტფელის საფუძველზე;
- ▶ ხელმძღვანელობის მსჯელობის შეფასება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანად ზრდის იდენტიფიკაციასთან მიმართებაში, თვისებრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმების საფუძველზე;
- ▶ ფინანსური იჯარების გაუფასურების შესაბამის ეტაპზე განაწილების შემოწმება, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე;
- ▶ კოლექტიურ საფუძველზე დაანგარიშებული რეზერვის შესამოწმებლად, ჩვენი შიდა მოდელირების სპეციალისტების მხარდაჭერით შევაფასეთ საბაზისო სტატისტიკური მოდელი, მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემები და გამოყენებული დაშვებები, ასევე შევაფასეთ საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებაში და გადავიანგარიშეთ გაუფასურების ანარიცხები ნიმუშების საფუძველზე.

ჩვენ ასევე ჩავატარეთ პროცედურები, რომლებიც მოიცავდა ჯგუფის კონტროლების და ძირითადი ტესტირების შეფასებას და ვალიდაციას, საკრედიტო მოდელში მონაცემების დენადობის დადასტურების, პროცესის განმავლობაში გამოყენებული მონაცემების მთლიანობის და წყაროებს/სისტემებს შორის თანმიმდევრულობის შემოწმების მიზნით.

ჩვენ ასევე შევაფასეთ ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები გაუფასურებასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები.



**Building a better  
working world**

**აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი**

**რამდენად ითვალისწინება ჩვენი აუდიტი მნიშვნელოვან აუდიტორულ საკითხებს**

**საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივების შეფასება**

ჯგუფის საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები შეადგენდა 12,683,344 ლარს, მე-7 შენიშვნის („საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები“) შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენს უიმედო მოიჯარეებისგან დასაკუთრებულ აქტივებს, რომლებიც შემდგომ იჯარას ან გაყიდვას ექვემდებარება და უიმედო მოიჯარეებისგან იურიდიულად დასაკუთრებულ აქტივებს, რომლებიც ექვემდებარება ფიზიკურ დასაკუთრებას. ჯგუფი ამ აქტივებს აფასებს თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულების შეფასებას ახორციელებს დამოუკიდებელი შემფასებელი ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის. შეფასებას ახასიათებს გაურკვეველობა, ის განსჯის საგანია და შეფასების პროცესს ექვემდებარება.

ამ შეფასებების მნიშვნელობა და დასაბუთებულობა და ისეთი დასაკუთრებული აქტივების ანაზღაურებადობა, რომლებსაც ჯგუფი არ ფლობს ფიზიკურად და მწვანადრეალიზებადი ერთეულების ანარჩებების სათანადო დონის შეფასებაში ჩართული მნიშვნელოვანი მსჯელობები საიჯარო მიზნით ფლობილი აქტივის შეფასებას აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხად გადააქცევს.

ჯგუფის განმარტებები საიჯაროდ ფლობილ აქტივებთან დაკავშირებით წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მე-7 შენიშვნაში („საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები“).

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივების შეფასებასთან დაკავშირებული ჩვენი აუდიტორული პროცედურები მოიცავდა შემდეგს:

- ▶ ჩვენ მივიღეთ და შევამოწმეთ ჯგუფის მიერ დაქირავებული გარე დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ მომზადებული შეფასების ანგარიში. ჩვენ შევფასეთ შეფასების მეთოდი და შეფასებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებები შერჩევით საფუძველზე, ბაზრის შედარებადი გარიგებების მტკიცებულებებზე და სხვა ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჩვენი საკუთარი შემფასებელი სპეციალისტების დახმარებით.
- ▶ შევფასეთ საიჯარო მიზნით ფლობილი მწვანადრეალიზებადი აქტივების ანარჩებები დასაკუთრებული აქტივების ისტორიული ღირებულების ანალიზის და მომავალი გაყიდვის ხელმძღვანელობისეულ შეფასებასთან მისი შედარების გზით.
- ▶ ჩვენ ასევე შევფასეთ აქტივების დასაკუთრების ციკლი და უზრუნველყავით ის, რომ აქტივების უმრავლესობა, რომლებიც ფიზიკური დასაკუთრების პროცესში არიან, უზრუნველყოფილია და დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, ჯგუფი უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება სადაზღვევო კომპანიის მხრიდან.

**კომპანიის მენეჯმენტ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია**

სხვა ინფორმაცია გულისხმობს ჯგუფის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ შეეხება მმართველობის ანგარიშგებას და მასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებული ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი.



**Building a better  
working world**

### **ხელმძღვანელობისა და პარტნიორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

პარტნიორი პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.



**Building a better  
working world**

- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა ჯგუფი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საბაზისო გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნეს ოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

პარტნიორს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ამასთანავე, პარტნიორს წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში შეიძლება ეჭვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და, თუ შესაძლებელია, წარმოვადგენთ გამოყენებულ უსაფრთხოების მექანიზმებთან დაკავშირებული საფრთხეების აღმოსაფხვრელად განხორციელებულ ღონისძიებებს.

პარტნიორისთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნით მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და, შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის გასაჯაროება, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადაწყვეტთ, რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამ გზით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაწონის ამგვარი ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.



**Building a better  
working world**

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში**

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის ოლეგ იუშენკოვი.

ო. ვ. იუშენკოვი

შპს „იუას“ სახელით

2022 წლის 13 მაისი.

თბილისი, საქართველო



## ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

## 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნები	2021	2020
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	58,674,529	24,441,068
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	6	75,043,574	106,751,705
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები	7	12,683,344	37,926,206
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები	8	5,155,204	3,683,167
ძირითადი საშუალებები	10	824,646	1,342,351
საგადასახადო მოთხოვნები	9	162,295	-
სხვა აქტივები	11	5,982,521	2,269,803
<b>სულ აქტივები</b>		<b>158,526,113</b>	<b>176,414,300</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სასესხო კრედიტორული დავალიანება	14,16	52,287,308	63,763,386
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	15,16	80,056,666	82,893,196
საიჯარო ვალდებულება	17	534,539	1,057,767
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	13	3,203,124	2,759,041
საგადასახადო კრედიტორული დავალიანება	9	-	2,090,593
სხვა ვალდებულებები	12	2,079,488	3,335,260
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>138,161,125</b>	<b>155,899,243</b>
<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი		3,180,000	3,180,000
დამატებით შეტანილი კაპიტალი		15,370,963	15,347,212
აკუმულირებული ზარალი		2,410,440	2,584,260
სხვა რეზერვი		(596,415)	(596,415)
<b>სულ კაპიტალი</b>	18	<b>20,364,988</b>	<b>20,515,057</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>158,526,113</b>	<b>176,414,300</b>

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 13 მაისს:

ელდარ ახლედიანი

ოლმასრულებელი დირექტორი

ანი ქურულუაშვილი

ფინანსური დირექტორი

## სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

## 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნები	2021	2020
<b>საპროცენტო შემოსავალი იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან</b>			
ფინანსური შემოსავალი იჯარიდან		24,698,534	33,187,642
<b>ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>		1,204,786	1,122,392
<b>საპროცენტო ხარჯი</b>			
სასესხო კრედიტორული დავალიანება		(7,261,805)	(7,931,687)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		(5,869,303)	(6,066,692)
საიჯარო ვალდებულება		(56,486)	(53,811)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>12,715,726</b>	<b>20,257,844</b>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე	6	(2,432,744)	(6,958,518)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სხვა აქტივებისთვის	11	-	30,663
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ</b>		<b>10,282,982</b>	<b>13,329,989</b>
<b>შემოსავალი ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე დარიცხული ჯარიმებიდან</b>	6	2,980,763	3,378,507
<b>წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან</b>		(2,041,851)	(4,265,251)
სხვა შემოსავალი	19	10,505,587	1,257,346
<b>საოპერაციო შემოსავალი</b>		<b>21,727,482</b>	<b>13,700,591</b>
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(9,842,211)	(11,816,112)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(2,929,777)	(2,616,592)
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივების ჩამოწერა		(9,128,615)	(3,256,990)
<b>საოპერაციო ხარჯები</b>		<b>(21,900,603)</b>	<b>(17,689,694)</b>
<b>შემოსავალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე</b>		<b>(173,122)</b>	<b>(3,989,103)</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(698)	(7,790)
<b>წმინდა (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში</b>		<b>(173,820)</b>	<b>(3,996,893)</b>
<b>სხვა სრული შემოსავალი</b>			
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც ხდება			
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიან ქაღალდებზე რეალიზებული შემოსულობის რეკლასიფიკაცია მოგებაში ან ზარალში		-	-
<b>წლის სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი, წმინდა მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში</b>		<b>(173,820)</b>	<b>(3,996,893)</b>

11-44 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

## 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
<b>2019 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>3,180,000</b>	<b>15,188,227</b>	<b>(452,175)</b>	<b>6,581,153</b>	<b>24,497,205</b>
წლის წმინდა მოგება	-	-	-	(3,996,893)	(3,996,893)
შენატანები					
წილობრივი ანაზღაურების პროგრამის ფარგლებში (22-ე შენიშვნა)	-	-	(144,240)	-	(144,240)
წილობრივი გადახდები (22-ე შენიშვნა)	-	158,985	-	-	158,985
<b>2020 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>3,180,000</b>	<b>15,347,212</b>	<b>(596,415)</b>	<b>2,584,260</b>	<b>20,515,057</b>
წლის წმინდა მოგება	-	-	-	(173,820)	(173,820)
შენატანები					
წილობრივი ანაზღაურების პროგრამის ფარგლებში (22-ე შენიშვნა)	-	-	-	-	-
წილობრივი გადახდები (22-ე შენიშვნა)	-	23,751	-	-	23,751
<b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>3,180,000</b>	<b>15,370,963</b>	<b>(596,415)</b>	<b>2,410,440</b>	<b>20,364,988</b>

11-44 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

**ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**  
**2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**  
*(თანხები მოცემულია ლარში)*

	<i>შენიშვნები</i>	<b>2021</b>	<b>2020</b>
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		25,645,520	27,624,419
მიღებული სხვა შემოსავალი		13,486,351	5,820,626
გადახდილი პროცენტი		(11,940,816)	(13,196,498)
გადახდილი სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(13,522,689)	(11,125,172)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(2,996,273)	(2,814,346)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>		<b>10,672,093</b>	<b>6,309,029</b>
<i>საოპერაციო აქტივების (ზრდა) კლება</i>			
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები		14,812,141	5,972,813
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები		21,958,989	8,752,259
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები		(1,472,037)	10,106,621
დღგ და სხვა საგადასახადო მოთხოვნები		(412,889)	-
სხვა აქტივები		1,129,127	(791,479)
<i>საოპერაციო ვალდებულებების ზრდა (კლება)</i>			
კლიენტებისგან მიღებული ავანსები		444,083	(584,747)
დღგ და სხვა საგადასახადო კრედიტორული დავალიანება		-	1,989,242
სხვა ვალდებულებები		822,232	(198,454)
<b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>47,953,740</b>	<b>31,555,284</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(106,269)	(172,798)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(234,059)	(230,753)
<b>საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული / (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(340,328)</b>	<b>(403,551)</b>
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>			
საიჯარო ვალდებულებები		(445,458)	(418,199)
შემენილი სავალო ფასიანი ქაღალდები		47,359,321	(12,278,400)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		(46,706,102)	11,945,497
ნასესხები სახსრების დაფარვა		(52,725,812)	(104,065,296)
ნასესხები სახსრების მიღება		42,360,725	76,040,510
<b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(10,157,326)</b>	<b>(28,775,888)</b>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(3,222,625)	784,231
<b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა</b>		<b>34,233,461</b>	<b>3,160,076</b>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	5	24,441,068	21,280,992
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს</b>	5	<b>58,674,529</b>	<b>24,441,068</b>

11-44 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(თანხები მოცემულია ლარში)

## 1. ძირითადი საქმიანობა

შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ (შემდგომში „კომპანია“ ან „GLC“) 2001 წლის 29 ოქტომბერს საქართველოში დაფუძნდა (საიდენტიფიკაციო ნომერი 204972155). მისი ძირითადი საქმიანობაა საქართველოში იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის ფინანსური იჯარის მომსახურების გაწევა. კომპანია ფლობს შპს „პრაიმ ლიზინგის“ 100%-იან წილს.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს სალიზინგო კომპანიას და მის შვილობილ კომპანიას (შემდგომში ერთობლივად „ჯგუფი“) ერთპიროვნულად ფლობს სს „საქართველოს ბანკი“. 2017 წლის ივლისში სს „საქართველოს ბანკმა“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“) შეისყიდა აქციების 100%-იანი წილი საქართველოს სალიზინგო კომპანიაში სს „ბიჯი ფაინანშიალისგან“. სს „საქართველოს ბანკს“, თავის მხრივ, ერთპიროვნულად ფლობს სს „საქართველოს ბანკის ჯგუფი“. ჯგუფის საბოლოო მშობელი კომპანია და მაკონტროლებელი მხარე 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფი“ გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფი“, რომლის აქციები განთავსებულია ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა კომპანიის მშობელი კომპანიის მიერ. მშობელ კომპანიას უფლება აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანოს გამოშვების შემდეგ.

ჯგუფის იურიდიული მისამართია ტატიშვილის ქ. 3/5, თბილისი, საქართველო.

### ბიზნესგარემო

2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი შედგება კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიისგან - შპს „პრაიმ ლიზინგი“, რომელსაც ერთპიროვნულად ფლობს და რომელიც საიჯარო მომსახურებას გასწევს საქართველოში. ჯგუფზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც განვითარებადი ბაზრის მახასიათებლები აქვთ. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული ბაზა განაგრძობს განვითარებას, თუმცა ის ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებებს, რაც, სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ. ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

### კოვიდ-19-ის პანდემიის ეფექტი

კოვიდ-19-ის პანდემიის სწრაფად განვითარების გამო, 2020-2021 წელს მრავალმა ხელისუფლებამ, მათ შორის საქართველოს მთავრობამაც სხვადასხვა ღონისძიება დაწერა ეპიდემიის აფეთქებასთან ბრძოლისთვის, მათ შორის მგზავრობის შეზღუდვა, კარანტინი, საწარმოების და სხვა ობიექტების დახურვა, ასევე კონკრეტული სივრცეების მკაცრი იზოლაცია. ამ ღონისძიებებმა იმოქმედა საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვზე, საქონლის და მომსახურებების მოთხოვნაზე და ბიზნეს-საქმიანობების მასშტაბზე. მოსალოდნელია, რომ პანდემია და მასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური ღონისძიებები გავლენას მოახდენენ ინდუსტრიების ფართო სპექტრის საწარმოების საქმიანობაზე.

მხარდაჭერის ღონისძიებები გატარდა მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკურ ვარდნასთან გამკლავების მიზნით. პროგრამაში შედის ისეთი ღონისძიებები, როგორც არის დაზარალებული დარგებისა და პირების სესხების სუბსიდირება, გადახდების გადავადება და გარკვეული სავალდებულო შეზღუდვების მოხსნა, რათა ფინანსურმა სექტორმა შეინარჩუნოს რესურსების მოწოდების უნარი, ხოლო მომხმარებლებმა თავიდან აიცილონ კოვიდ-19-ის გამო გამკაცრებული ზომების შედეგად ლიკვიდურობის დეფიციტი. ჯგუფის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის, მათ შორის მისი სხვადასხვა შტამის შემდგომ გავლენას მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ექნება ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფინანსურ შედეგებზე 2022 წელს. ჯგუფი განაგრძობს კოვიდ-19-ის პანდემიის და მიკრო და მაკროეკონომიკური პირობების ცვლილების მის საქმიანობებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე გავლენის შეფასებას.

(თანხები მოცემულია ლარში)

## 2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული.

ჯგუფი ორგანიზებულია ერთ საოპერაციო სეგმენტად, რომელიც ფინანსური იჯარის მომსახურებას სწევს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (შემდეგში „ლარი“), თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში

ჯგუფმა პირველად გამოიყენა სტანდარტებში შესული გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ქვემოთ მოცემული სტანდარტები/ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაში შევიდა 2021 წლის 1 იანვარს, არსებითი გავლენა არ ჰქონიათ ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- ▶ „საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკების ფუნდამენტური რეფორმა“ - ფასს (IFRS) 9, ბასს (IAS) 39, ფასს (IFRS) 7, ფასს (IFRS) 4 და ფასს (IFRS) 16-ის ცვლილებების მე-2 ეტაპი (შიდა საბანკო განაკვეთის (IBOR) რეფორმის მე-2 ეტაპი).
- ▶ „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ ფასს (IFRS) 16-ის ცვლილება

რამდენიმე სხვა ცვლილება, რომელიც 2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, გამოიყენებოდა, მაგრამ არ ჰქონია გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ უფლებები მას მიმდინარე მომენტში საშუალებას აძლევს მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- ▶ ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- ▶ მას შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების შესაბამისად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან სახელმწიფო გარიგებებს;
- ▶ სხვა სახელმწიფო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებებს და პოტენციური ხმის უფლებებს.

(თანხები მოცემულია ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

შვილობილი კომპანია კონსოლიდირდება ჯგუფის კონტროლის უფლების წარმოშობიდან და აღარ გააჩნია აღნიშნული სტატუსი კონტროლის შეწყვეტისას. ჯგუფის ყველა შიდა გარიგების, მის შვილობილ კომპანიებს შორის არსებული ნაშთისა და არარეალიზებული შემოსულობის სრულად გაქვითვა ხდება, ასევე ხდება არარეალიზებული დანაკარგების გაქვითვაც, თუ გარიგება არ წარმოადგენს გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილია ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის შეცვლის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. ზარალი მიეწერება არასაკონტროლო პაკეტს მაშინაც კი, თუ ეს ზალანსის დეფიციტს იწვევს.

თუ ჯგუფი შვილობილ კომპანიაზე კონტროლს დაკარგავს, იგი წყვეტს შვილობილი კომპანიის აქტივების (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებების, ნებისმიერი არასაკონტროლო პაკეტის საბალანსო ღირებულების, კუმულაციური საკუროს სხვაობების აღიარებას, რაც კაპიტალში აღირიცხება, აღიარებს მიღებული საზღაურის, ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის სამართლიან ღირებულებასა და მოგებაში ან ზარალში ნებისმიერ ნამეტს თუ დეფიციტს და ახდენს მშობელი კომპანიის კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას სხვა სრული შემოსავლიდან კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

#### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში და მიმდინარე ანგარიშებისგან.

#### ფინანსური აქტივები

##### თავდაპირველი აღიარება

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვა აღიარდება გარიგების თარიღში, ე.ი. იმ დღეს, როდესაც ჯგუფი იკისრებს აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულებას. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

##### თავდაპირველი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის ბიზნეს-მოდელზე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და, მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა, გარიგების დანახარჯები ემატება ან აკლდება ამ თანხას.

##### ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

ჯგუფი ახდენს მისი ყველა ფინანსური აქტივის კლასიფიცირებას, აქტივების და აქტივის სახელშეკრულებო ვადების სამართავი ბიზნეს-მოდელის საფუძველზე, რომელიც ფასდება ქვემოთ მოცემულიდან ერთერთით:

- ▶ ამორტიზებული ღირებულება;
- ▶ სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი მისი წარმოებული ინსტრუმენტების და სავაჭრო პორტფელის კლასიფიკაციას და შეფასებას ახდენს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფმა შესაძლოა განსაზღვროს ფინანსური ინსტრუმენტი სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას.

(თანხები მოცემულია ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური თავდებობებისა, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ისინი სავაჭროდ არიან ფლობილი, წარმოებული ინსტრუმენტებია ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრება.

#### ბიზნეს მოდელის შეფასება

ჯგუფი თავის ბიზნეს-მოდელს განსაზღვრავს ისეთ დონეზე, რომელიც საუკეთესად ასახავს როგორ მართავს ის ფინანსურ აქტივებს მისი საქმიანი მიზნების მისაღწევად.

ჯგუფის ბიზნეს მოდელი არ ფასდება თითოეული ინსტრუმენტის საფუძველზე. ის აფასებს აგრეგირებული პორტფელების უმაღლეს დონეზე და ის ეფუძნება ემპირიული ფაქტორების საფუძველზე, როგორც არის შემდეგი:

- ▶ როგორ ფასდება ბიზნეს-მოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნეს-მოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ.
- ▶ როგორ ფასდება ბიზნეს-მოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნეს-მოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ;
- ▶ როგორ ხდება საქმიანობის მენეჯერების კომპენსირება (მაგალითად, თუ კომპენსაცია ეფუძნება მართვის ქვეშე მყოფი აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს);
- ▶ გაყიდვების მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და ვადები ჯგუფის შეფასების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენს.

ბიზნეს-მოდელის შეფასება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებს ეფუძნება, 'ყველაზე ცუდი' და 'სტრესული შემთხვევის' სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფულადი ნაკადები რეალიზდება ისეთი ფორმით, რომელიც განსხვავდება ჯგუფის თავდაპირველი მოლოდინებისგან, ჯგუფი არ ცვლის ამგვარ ბიზნეს-მოდელში წარმოდგენილი დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას. ამის ნაცვლად ის ამგვარ ინფორმაციას იყენებს ახლად წარმოქმნილი ან ახლად შექმნილი ფინანსური აქტივების შეფასებას.

#### SPPI-ტესტი

კლასიფიკაციის პროცესის მეორე ეტაპის სახით, იმის განსასაზღვრად, აკმაყოფილებს თუ არა ის SPPI-ტესტის მოთხოვნებს, ჯგუფი ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს აფასებს.

ამ ტესტის მიზნებისთვის 'ძირითადი თანხა' განისაზღვრება ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების სახით, თავდაპირველი აღიარებისას და შესაძლოა შეიცვალოს ფინანსური აქტივის ვადის განმავლობაში (მაგალითად, თუ ადგილი აქვს პრემიის/ფასდაკლების გადახდის მნიშვნელოვან აღიარებას).

სასესხო გარიგებებში პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები, ჩვეულებრივ, წარმოადგენს გადახდებს ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკისთვის. მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების შესაფასებლად, ჯგუფი იყენებს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ შესაბამის ფაქტორებს, როგორც არის ვალუტა, რომელშიც გამოხატულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთი.



(თანხები მოცემულია ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

შედარებისთვის, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ რისკების მინიმუმზე მეტ დაქვემდებარებას ან ისეთი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში არასტაბილურობა, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სასესხო გარიგებებს, არ წარმოშობს სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ თანხაზე. ასეთ შემთხვევებში, ფინანსური აქტივი სამართლიანი ღირებულებით უნდა შეფასდეს, მოგებაში ან ზარალში.

*ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეკლასიფიკაცია*

ჯგუფი არ ახდენს მისი ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ისეთი გამონაკლისი შემთხვევების გამოკლებით, რომელშიც ჯგუფი შეცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელს. ფინანსური ვალდებულებების რეკლასიფიკაცია არასოდეს ხდება.

#### ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ფინანსური იჯარიდან მიღებული შემოსავლის აღიარება

იჯარის დასაწყისად ითვლება საიჯარო ხელშეკრულების თარიღსა და მხარეთა მიერ იჯარის ძირითადი პირობების შესრულების ვალდებულების აღების თარიღს შორის უადრესი. ამ თარიღისთვის:

- ▶ იჯარა შესულია ფინანსური იჯარის კატეგორიაში; და
- ▶ განსაზღვრულია იჯარის ვადის დაწყებისას ასაღიარებელი თანხები.

იჯარა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც მოიჯარეს ეძლევა იჯარით მიღებული აქტივის გამოყენების უფლება. ეს არის იჯარის პირველადი აღიარების (ანუ, საჭიროების შემთხვევაში, აქტივების, ვალდებულებების, იჯარიდან მიღებული შემოსავლების ან ხარჯების აღიარების) თარიღი.

ფინანსური იჯარის გაფორმებისას ჯგუფი აღიარებს იჯარებში წმინდა ინვესტიციას, რაც წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მისაღებ მინიმალურ საიჯარო გადასახდელს. სხვაობა მთლიან ინვესტიციასა და მის დღევანდელ ღირებულებას შორის აღირიცხება ფინანსური იჯარის გამოუმუშავებელ შემოსავალში.

ფინანსური იჯარის შემოსავლის აღიარება ხდება იმისდა მიხედვით, თუ როგორია მუდმივი პერიოდული უკუგების კოეფიციენტი ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ წმინდა ინვესტიციაზე. თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები შედის იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანების პირველად შეფასებაში.

ჯგუფის მიერ მოიჯარეებისგან იჯარის დაწყების თარიღამდე მიღებული გადახდები აღირიცხება, როგორც მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები (ვალდებულების თავში ცალკე მუხლი) და ისინი ცვლიან დაწყების თარიღში იჯარებში წმინდა ინვესტიციას, რომელიც აღიარებულია.

მიმწოდებლისთვის გადახდილი ნებისმიერი ავანსი აღირიცხება საიჯარო ოპერაციებში მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსების სახით.

#### **ჯგუფი, როგორც მოიჯარე**

ჯგუფი იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ჯგუფი აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომ გადაიხადოს საიჯარო გადასახადები და აქტივის გამოყენების უფლება, რომლებიც წარმოადგენს საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას.

*(თანხები მოცემულია ლარში)*

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### **ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ფინანსური იჯარიდან მიღებული შემოსავლის აღიარება (გაგრძელება)**

##### *აქტივის გამოყენების უფლება*

ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დაწყების თარიღში (ე.ი. თარიღში, როცა საბაზისო აქტივი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი გადაფასების მიხედვით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხას, ნებისმიერი მიღებული საიჯარო ინციტივების გამოკლებით. სანამ ჯგუფს არ ექნება გონივრული რწმენა იმისა, რომ ის მიიღებს საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლებას საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ, აღიარებული აქტივის გამოყენების უფლება ამორტიზირდება წრფივი დარიცხვის მეთოდით, მის მოსალოდნელ სასარგებლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესით. აქტივის გამოყენების უფლება გაუფასურებას ექვემდებარება.

##### *საიჯარო ვალდებულებები*

იჯარის დაწყების თარიღში, ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადასახდელები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებით ფიქსირებულ გადახდებს), რასაც აკლდება ნებისმიერი საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანება, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზე დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების საფუძველზე. ცვლადი საიჯარო გადასახდელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე აღიარდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც წარმოიშვება ისეთი ვითარება ან სიტუაცია, რომელიც გადახდას იწვევს.

საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღში, იმ შემთხვევაში, თუ იჯარაში ნაგულისხმევი პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება. დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადასახდელებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გადაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო ვადის ცვლილებას, ფიქსირებული საიჯარო გადახდების ცვლილებას ან საბაზისო აქტივის ნასყიდობის შეფასების ცვლილებას.

##### *მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები*

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას მის მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის უფლებას). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას, აქტივების კონკრეტულ იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად მოიაზრებიან. საიჯარო გადასახდელები მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები აღიარდება ხარჯის სახით საიჯარო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით.

##### *მნიშვნელოვანი მსჯელობა ხელშეკრულებების საიჯარო ვადის განსაზღვრაში განახლების თვისებით*

ჯგუფი განსაზღვრავს საიჯარო ვადას იჯარის შეუქცევადი ვადის სახით, ნებისმიერ სხვა პერიოდთან ერთად, რომელზეც ვრცელდება იჯარის გახანგრძლივების ფუნქცია, თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ამგვარი ფუნქციით ისარგებლებენ, ან ნებისმიერი პერიოდთან ერთად, რომელზეც ვრცელდება იჯარის შეწყვეტის ფუნქცია, თუ მისი გამოყენების გონივრული რწმენა არ არსებობს.

რამდენიმე იჯარის ფარგლებში, ჯგუფს შეუძლია იჯარით აიღოს აქტივები დამატებითი - სამიდან ხუთ წლამდე ვადით. იმის შეფასებაში, არსებობს თუ არა გონივრული რწმენა იმისა, რომ ორგანიზაცია ისარგებლებს იჯარის განახლების შესაძლებლობით, ჯგუფი მსჯელობას ეყრდნობა. ე.ი. იჯარის განახლებისთვის ის განიხილავს ყველა შესაძლებელ ფაქტორს, რომელიც მისთვის ეკონომიკურ სარგებელს წარმოქმნის. ხელშეკრულების დაწყების თარიღის შემდეგ, ჯგუფი განმეორებით აფასებს იჯარის ვადას იმის გადასამოწმებლად, ხომ არ არსებობს მნიშვნელოვანი მოვლენა ან ცვლილება ვითარებებში, რომელიც მისი კონტროლის ფარგლებშია ან მოქმედებს მის მიერ იჯარის განახლების შესაძლებლობით სარგებლობის (ან არ სარგებლობის) უნარზე (მაგ. ბიზნეს სტრატეგიის ცვლილება).

(თანხები მოცემულია ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

##### ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ ჯგუფმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადმოცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

##### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

##### ჩამოწერები

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან - მთლიანად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფი შეწყვეტს აღდგენის განხორციელებას. თუ ჩამოსაწერი თანხა აღმატება დაგროვილი ცვეთის რეზერვს, სხვაობა თავდაპირველად აღირიცხება რეზერვზე დამატების სახით, რომელიც შემდეგ გამოიყენება მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში. ნებისმიერი შემდგომი ანაზღაურება განეკუთვნება საკრედიტო ზარალის ხარჯს. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

##### წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობის ფარგლებში, სავალუტო რისკის შემსუბუქების მიზნით, ჯგუფი ახორციელებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით ოპერაციებს, მათ შორის სავალუტო ფორვარდულ გარიგებებს.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასდადებით ან ფასწარმოქმნის მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია ამ ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და სახელშეკრულებო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება, როგორც აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან წმინდა შემოსულობის/(ზარალის) ფარგლებში.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს აქვს წარმოებული ინსტრუმენტები რისკის ჰეჯირების მიზნებისთვის, ეს ინსტრუმენტები არ წარმოადგენს ჰეჯირების აღრიცხვას.

(თანხები მოცემულია ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე სახელშეკრულებო გარიგებების შედეგად ჯგუფს წარმოეშობა ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს სასესხო კრედიტორულ დავალიანებას და გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს. აღნიშნული თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

#### ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

#### გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება (მე-9 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

#### საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის ნებადართული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ცვლილებები ჯგუფის წესდებაში (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, წილობრივ მონაწილეობაში და სხვ.) უნდა მოხდეს მხოლოდ ჯგუფის პარტნიორის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. სააქციო კაპიტალის აღიარება საწესდებო კაპიტალად ჯგუფის საკუთარ კაპიტალში ხდება მაშინ, როდესაც მისი შეტანა ხორციელდება ჯგუფის პარტნიორის მიერ.

(თანხები მოცემულია ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებს წარმოადგენს ის აქტივები, რომლებსაც ჯგუფი ფლობს აქტივის შესყიდვიდან იჯარის ვადის დაწყებისას მოიჯარისთვის მის გადაცემამდე ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, უიმედო მოიჯარეებისგან დასაკუთრებული აქტივები, რომლებიც შემდგომ იჯარას ან გაყიდვას ექვემდებარება, და უიმედო მოიჯარეებისგან იურიდიულად დასაკუთრებული აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ფიზიკურ დასაკუთრებას.

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის მათ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივების თვითღირებულება მოიცავს შემდეგს:

- ▶ აქტივის შესყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები და მასთან დაკავშირებული სხვა კაპიტალიზებული დანახარჯები, რომლებიც ჯგუფმა გასწია მოიჯარისთვის გადაცემამდე, შესყიდული აქტივების შეთხვევაში;
- ▶ დასაკუთრებული აქტივების შემთხვევაში, ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების უიმედოდ კლასიფიცირების თარიღით გადახდილი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო სარეალიზაციო ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო დანახარჯები.

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი ყველა დასაკუთრებული აქტივის აღიარება ხდება ჯგუფისთვის მათზე იურიდიული უფლების გადაცემისთანავე. ხელმძღვანელობა ეყრდნობა განსჯას იმის განსაზღვრისთვის, იურიდიულად დასაკუთრებული აქტივი უნდა ჩამოიწეროს მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე, თუ არა, მის ფიზიკურ დასაკუთრებასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამო. ხელმძღვანელობა სათითაოდ აანალიზებს დასაკუთრებულ აქტივებს და ჩამოწერს აქტივებს, რომელთა ფიზიკური დასაკუთრება მოსალოდნელი არ არის.

#### სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფი საინვესტიციო ქონებასა და გასაყიდად გამოიზნულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსთვის. გარდა ამისა, ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოადგენილია 21-ე შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ჯგუფმა უნდა შეძლოს მთავარ ან ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე წვდომის მოპოვება შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან მისი მიყიდვით ბაზრის სხვა მონაწილისათვის, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

(თანხები მოცემულია ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არაემპირიულ მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

#### შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლისა და ხარჯის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

##### *საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი*

ჯგუფი ანგარიშობს საპროცენტო შემოსავალს სასესხო ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI), ფინანსური აქტივების ბრუტო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურებული აქტივების გამოკლებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი გადახდების ან ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ჯგუფი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდება, ჯგუფი საპროცენტო შემოსავალს ანგარიშობს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდება და აღარ იქნება გაუფასურებული, ჯგუფი დაუბრუნდება საპროცენტო შემოსავლის ბრუტო საფუძველზე დაანგარიშების მეთოდს.

(თანხები მოცემულია ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

#### თანამშრომლებისთვის აქციების გადაცემის სქემა

*აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები*

ჯგუფის გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მოადგილე იღებენ წილობრივ ანაზღაურებას, ჯგუფის საბოლოო მშობელი კომპანიის - „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ წილობრივი ინსტრუმენტების სახით. წილობრივ უფლებებს „საქართველოს ბანკის ჯგუფი“ ანიჭებს.

*ოპერაციები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით*

თანამშრომლებთან წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებების ხარჯი ფასდება გადაცემის თარიღისთვის მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე.

წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებების ღირებულების აღიარება, კაპიტალში დამატებითი შენატანების შესაბამის ზრდასთან ერთად, ხდება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სამუშაო და/ან გაიწია მომსახურება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის თანამშრომლებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში “უფლების გადაცემის თარიღი”). უფლების გადაცემის თარიღამდე ანგარიშგების ყოველი თარიღით, აღიარებული წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებების მთლიანი ხარჯი აისახება უფლების გადაცემის პერიოდის ამოწურვის პროპორციულად და იმ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც ჯგუფის შეფასებით გაცემული იქნება უფლების გადაცემის თარიღისათვის. ჯგუფის თანამშრომლებისთვის გაცემული აქციებისთვის მშობელ კომპანიასთან ანგარიშსწორება აღირიცხება უარყოფითი სხვა რეზერვების სახით.

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებების ყველა კლასის ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით სამწლიან ვადაზე.

აქტივების ცვეთა ხდება მათი ექსპლუატაციაში მიღების თვიდან. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

(თანხები მოცემულია ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### სამუშაო და წარსადგენი ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც „ჯგუფის“ სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსებით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციის შედეგად მიღებული წმინდა შემოსულობა (ზარალი). ქვემოთ მოცემულია სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	<i>2021 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2020 წლის 31 დეკემბერი</i>
ლარი/აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	3.5040	4.0233

#### სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე, რასაც, დღევანდელი გადასახედიდან, არსებითი გავლენა არ ექნება ფინანსურ ანგარიშგებებზე:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან);
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: „ვალდებულებების მოკლე ან გრძელვადიანად კლასიფიცირება“ (ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან);
- ▶ ფასს (IFRS) 3-ის ცვლილება „კონცეპტუალური მიდგომა“ (ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან);
- ▶ „ძირითადი საშუალებები: ბასს (IAS) 16-ის ცვლილება „ძირითადი საშუალებები: ამონაგები დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“ (ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან);
- ▶ ბასს (IAS) 37-ის ცვლილება „დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“ (ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან);
- ▶ ფასს (IFRS) 1 - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ - შვილობილი კომპანიები, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს (ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან);
- ▶ ფასს-ის გაუმჯობესება (2018-2020 წ.წ. ციკლი): ფასს (IFRS) 9, ბასს (IAS) 8, ბასს (IAS) 1 და ბასს (IAS) 41-ის ცვლილებები (ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან).

მოსალოდნელი არ არის, რომ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.



(თანხები მოცემულია ლარში)

#### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, ჯგუფის ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას გამოიყენა თავისი შეხედულებები და შეფასებები. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

##### მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

გაუფასურების ზარალის შეფასება ფასს (IFRS) 9-ის საფუძველზე, ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიასთან მიმართებაში, საჭიროებს მსჯელობას, კერძოდ, მომავალი ფულადი ნაკადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების თანხის და ვადების შეფასებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრის და საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებისას. ამ შეფასებებზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ცვლილებები შესაძლოა აისახოს რეზერვების სხვადასხვა დონეში. ჯგუფის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებები კომპლექსური მოდელების მონაცემებს წარმოადგენს, ცვლადი მონაცემების და მათი ინტერპრეტაციების შერჩევასთან დაკავშირებული სხვადასხვა საბაზისო მოსაზრებებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების ელემენტები, რომლებიც შესაბამის სააღრიცხვო მსჯელობებს და შეფასებებს წარმოადგენს, მოიცავს შემდეგს:

- ▶ ჯგუფის კრიტერიუმი იმის შესაფასებლად არსებობს თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა;
- ▶ რეზერვები ფინანსური აქტივებისთვის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და თვისებრივი შეფასების საფუძველზე;
- ▶ ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როცა მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება კოლექტიურ დონეზე;
- ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შემუშავება, მათ შორის სხვადასხვა ფორმულის და ამოსავალი მონაცემების შერჩევა;
- ▶ მაკროეკონომიკურ სცენარებსა და ისეთი ეკონომიკურ ამოსავალ მონაცემებს შორის ასოციაციების განსაზღვრა, როგორც არის მშპ-ს ზრდა, ინფლაციის განაკვეთი და სავალუტო კურსი და დეფოლტის ალბათობის, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის გავლენა;
- ▶ მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური სცენარების შერჩევა ეკონომიკური ამოსავალი მონაცემებიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მისაღებად.

##### საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივების შეფასება

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივების თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესის განსაზღვრისთვის, წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის განსაზღვრავს დამოუკიდებელი შემფასებელი. გამოყენებული მეთოდი ასახავს საბაზრო მიდგომას, რომელიც ეყრდნობა განსახილველი აქტივების შედარებას ბაზარზე გასაყიდ შესადარის აქტივებთან.

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები წარმოადგენს უიმედო მოიჯარეებისგან დასაკუთრებულ აქტივებს, რომლებიც შემდგომ იჯარას ან გაყიდვას ექვემდებარება და უიმედო მოიჯარეებისგან იურიდიულად დასაკუთრებულ აქტივებს, რომლებიც ექვემდებარება ფიზიკურ დასაკუთრებას. აქტივების უმრავლესობა, რომლებიც ფიზიკური დასაკუთრების პროცესში არიან, უზრუნველყოფილია და დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, ჯგუფი უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება სადაზღვევო კომპანიის მხრიდან.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-7 შენიშვნაში, ხოლო შესაბამისი შემოსავალი დაზღვევიდან წარმოდგენილია მე-18 შენიშვნაში.

(თანხები მოცემულია ლარში)

## 5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

31 დეკემბრისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავდა შემდეგს:

	2021	2020
მიმდინარე ანგარიშები სხვა ბანკებში	51,305,038	15,803
მიმდინარე ანგარიშები მშობელ კომპანიაში	7,369,483	24,425,257
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	8	8
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>	<b>58,674,529</b>	<b>24,441,068</b>

ფულადი სახსრების ეკვივალენტების ყველა ნაშთი 1-ელ ეტაპს განეკუთვნება.

## 6. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები

	1 წლის განმავლობაში დასაფარი 2021	1-დან 5 წლამდე ვადით 2021	სულ 2021
<b>მინიმალური მისაღები საიჯარო გადასახდელები</b>	<b>48,746,122</b>	<b>59,176,109</b>	<b>107,922,231</b>
გამოკლებული: გამოუმუშავებელი ფინანსური იჯარის შემოსავალი	(5,230,475)	(24,497,382)	(29,727,857)
<b>ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები</b>	<b>43,515,647</b>	<b>34,678,727</b>	<b>78,194,374</b>
გამოკლებული ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,481,483)	(1,669,317)	(3,150,800)
<b>ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წმინდა</b>	<b>42,034,164</b>	<b>33,009,410</b>	<b>75,043,574</b>

	1 წლის განმავლობაში დასაფარი 2020	ერთიდან ხუთ წლამდე ვადით 2020	სულ 2020
<b>მინიმალური მისაღები საიჯარო გადასახდელები</b>	<b>68,801,604</b>	<b>82,538,461</b>	<b>151,340,065</b>
გამოკლებული: გამოუმუშავებელი ფინანსური იჯარის შემოსავალი	(7,077,717)	(33,559,446)	(40,637,163)
<b>ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები</b>	<b>61,723,887</b>	<b>48,979,015</b>	<b>110,702,902</b>
გამოკლებული ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(2,301,010)	(1,650,187)	(3,951,197)
<b>ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წმინდა</b>	<b>59,422,877</b>	<b>47,328,828</b>	<b>106,751,705</b>

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების კონცენტრაცია 5 უმსხვილეს საიჯარო ხელშეკრულებაში მოიცავდა 5,115,634 ლარს (2020 წ.: 6,299,487 ლარი), რაც ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მთლიანი მოთხოვნების 7%-ს (2020 წ.: 6%) შეადგენდა.

ჯარიმები ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე ძირითადად გადახდის ვადაგადაცილებისთვის ირიცხება. ჯგუფი ჯარიმებიდან შემოსავალს მხოლოდ მისი მიღებისას აღიარებს. 2021 წელს ჯგუფმა აღიარა შემოსავალი ჯარიმებიდან 2,980,763 ლარის (2020 წ.: 3,378,507 ლარი) ოდენობით.

(თანხები მოცემულია ლარში)

## 6. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები (გაგრძელება)

იჯარის ვადის დასასრულს საიჯარო აქტივებზე საკუთრების უფლება მოიჯარეებს გადაეცემა. 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის შემდეგ მისაღები მინიმალური საიჯარო გადასახდელები ჯგუფს გადაეხდება შემდეგ ვალუტებში:

	2021	2020
ლარი	36,907,552	51,132,953
აშშ დოლარი	29,854,865	40,839,873
ევრო	8,281,157	14,778,879
<b>ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წმინდა</b>	<b>75,043,574</b>	<b>106,751,705</b>

აქტივების ტიპები, რომლებსაც 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი იჯარით გასცემს, შეიძლება შემდეგ კატეგორიებში გაერთიანდეს:

	2021		2020	
	თანხა	პროექტების რაოდენობა	თანხა	პროექტების რაოდენობა
მსუბუქი ავტომობილები	34,613,451	2,396	54,579,357	3,752
სამშენებლო აღჭურვილობა	19,765,749	255	28,127,578	301
ტრანსპორტი, მსუბუქი ავტომობილების გარდა	10,875,349	263	10,833,791	233
მანქანა-დანადგარები	9,789,024	110	13,210,979	96
<b>ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წმინდა</b>	<b>75,043,574</b>	<b>3,024</b>	<b>106,751,705</b>	<b>4,382</b>

მოძრაობა ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებში და ფინანსური იჯარის გაუფასურების რეზერვში 2021 და 2020 წლისთვის ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში არის შემდეგი:

კორპორატიული პორტფელი	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მთლიანი)			სულ 2021
	1-ლი ეტაპი	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი	
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	28,563,258	32,708,071	11,079,796	72,351,125
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	43,256,594	-	-	43,256,594
გადატანები 1-ელ ეტაპზე	22,483,991	(22,462,656)	(21,334)	-
გადატანები მე-2 ეტაპზე	(37,389,996)	47,935,954	(10,545,958)	-
გადატანები მე-3 ეტაპზე	(2,831,522)	(26,678,526)	29,510,049	-
დაფარული აქტივები	(25,046,072)	(16,320,379)	(2,454,763)	(43,821,214)
ჩამოწერა	-	-	(13,714,525)	(13,714,525)
სხვა მოძრაობები*	(1,159,423)	(1,200,197)	(806,199)	(3,165,819)
<b>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>27,876,830</b>	<b>13,982,266</b>	<b>13,047,065</b>	<b>54,906,162</b>

(თანხები მოცემულია ლარში)

**6. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები (გაგრძელება)**

<i>კორპორატიული პორტფელი</i>	<i>ფინანსური იჯარის გაუფასურების რეზერვი</i>			<i>სულ 2021</i>
	<i>1-ლი ეტაპი</i>	<i>მე-2 ეტაპი</i>	<i>მე-3 ეტაპი</i>	
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	(140,465)	(676,638)	(1,585,363)	<b>(2,402,466)</b>
ახალი წარმოშობილი ან შექმნილი ფინანსური აქტივები	(1,002,144)	–	–	<b>(1,002,144)</b>
გადატანები 1-ელ ეტაპზე	(239,429)	239,429	–	–
გადატანები მე-2 ეტაპზე	860,987	(1,861,667)	1,000,680	–
გადატანები მე-3 ეტაპზე	58,076	1,646,654	(1,704,730)	–
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(84,247)	(392,105)	(544,306)	<b>(1,020,658)</b>
დაფარული აქტივები	87,985	318,023	14,714	<b>420,721</b>
ჩამოწერა	–	–	1,237,660	<b>1,237,660</b>
სხვა მოძრაობები*	21,251	63,436	85,325	<b>170,012</b>
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(437,987)</b>	<b>(662,868)</b>	<b>(1,496,019)</b>	<b>(2,596,874)</b>
	<i>ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მთლიანი)</i>			<i>სულ 2021</i>
<i>სავაჭრო პორტფელი</i>	<i>1-ლი ეტაპი</i>	<i>მე-2 ეტაპი</i>	<i>მე-3 ეტაპი</i>	
<b>ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს</b>	14,021,373	19,797,815	4,532,589	<b>38,351,776</b>
ახალი წარმოშობილი ან შექმნილი ფინანსური აქტივები	18,925,071	–	–	<b>18,925,071</b>
გადატანები 1-ელ ეტაპზე	11,776,769	(11,752,389)	(24,380)	–
გადატანები მე-2 ეტაპზე	(5,425,882)	8,152,494	(2,726,612)	–
გადატანები მე-3 ეტაპზე	(1,093,602)	(6,514,823)	7,608,425	–
დაფარული აქტივები	(18,125,230)	(7,315,394)	(1,049,383)	<b>(26,490,008)</b>
ჩამოწერა	–	–	(7,517,017)	<b>(7,517,017)</b>
სხვა მოძრაობები*	(181,482)	201,482	(1,742)	<b>18,257</b>
<b>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>19,897,017</b>	<b>2,569,185</b>	<b>821,879</b>	<b>23,288,081</b>
	<i>ფინანსური იჯარის გაუფასურების რეზერვი</i>			<i>სულ 2021</i>
<i>სავაჭრო პორტფელი</i>	<i>1-ლი ეტაპი</i>	<i>მე-2 ეტაპი</i>	<i>მე-3 ეტაპი</i>	
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	(180,703)	(835,728)	(532,300)	<b>(1,548,731)</b>
ახალი წარმოშობილი ან შექმნილი ფინანსური აქტივები	(252,162)	–	–	<b>(252,162)</b>
გადატანები 1-ელ ეტაპზე	(438,851)	438,072	780	–
გადატანები მე-2 ეტაპზე	108,755	(297,898)	189,143	–
გადატანები მე-3 ეტაპზე	26,729	299,984	(326,713)	–
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	180,837	159,243	(391,018)	<b>(50,938)</b>
დაფარული აქტივები	177,489	142,577	62,836	<b>382,903</b>
ჩამოწერა	–	–	915,740	<b>915,740</b>
სხვა მოძრაობები*	3,517	(4,220)	97	<b>(606)</b>
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(374,390)</b>	<b>(97,970)</b>	<b>(81,435)</b>	<b>(553,795)</b>

(თანხები მოცემულია ლარში)

**6. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები (გაგრძელება)**

\* სხვა მოძრაობები მოიცავს ვალუტის საკურსო სხვაობებს.

კორპორატიული პორტფელი	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მთლიანი)			სულ 2020
	1-ლი ეტაპი	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი	
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	78,709,608	6,641,677	9,947,834	95,299,119
ახალი წარმოშობილი ან შექმნილი				
ფინანსური აქტივები	35,776,835	-	-	35,776,835
გადატანები 1-ელ ეტაპზე	29,011,616	(26,568,983)	(2,442,633)	-
გადატანები მე-2 ეტაპზე	(87,478,140)	100,434,310	(12,956,170)	-
გადატანები მე-3 ეტაპზე	(6,939,568)	(47,572,445)	54,512,013	-
დაფარული აქტივები	(23,045,610)	(4,238,788)	(10,235,335)	(37,519,733)
ჩამოწერა	-	-	(29,168,046)	(29,168,046)
სხვა მოძრაობები*	2,528,517	4,012,300	1,422,133	7,962,950
<b>ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>28,563,258</b>	<b>32,708,071</b>	<b>11,079,796</b>	<b>72,351,125</b>

კორპორატიული პორტფელი	ფინანსური იჯარის გაუფასურების რეზერვი			სულ 2020
	1-ლი ეტაპი	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(671,361)	(285,217)	(809,350)	(1,765,928)
ახალი წარმოშობილი ან შექმნილი				
ფინანსური აქტივები	(316,370)	-	-	(316,370)
გადატანები 1-ელ ეტაპზე	(15,769)	15,769	-	-
გადატანები მე-2 ეტაპზე	450,805	(756,453)	305,648	-
გადატანები მე-3 ეტაპზე	326,627	4,099,154	(4,425,781)	-
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	75,498	(3,685,161)	(828,018)	(4,437,681)
დაფარული აქტივები	22,423	5,769	81,862	110,054
ჩამოწერა	-	-	4,325,491	4,325,491
სხვა მოძრაობები*	(12,318)	(70,499)	(235,215)	(318,032)
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(140,465)</b>	<b>(676,638)</b>	<b>(1,585,363)</b>	<b>(2,402,466)</b>

საგაჭრო პორტფელი	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მთლიანი)			სულ 2020
	1-ლი ეტაპი	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი	
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	29,265,877	3,354,110	4,855,472	37,475,459
ახალი წარმოშობილი ან შექმნილი				
ფინანსური აქტივები	24,612,293	-	-	24,612,293
გადატანები 1-ელ ეტაპზე	23,686,398	(22,632,744)	(1,053,654)	-
გადატანები მე-2 ეტაპზე	(43,562,119)	48,151,988	(4,589,869)	-
გადატანები მე-3 ეტაპზე	(5,131,759)	(8,139,892)	13,271,651	-
დაფარული აქტივები	(14,957,900)	(1,183,242)	(2,763,252)	(18,904,394)
ჩამოწერა	-	-	(5,274,271)	(5,274,271)
სხვა მოძრაობები*	108,583	247,595	86,512	442,690
<b>ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>14,021,373</b>	<b>19,797,815</b>	<b>4,532,589</b>	<b>38,351,777</b>

(თანხები მოცემულია ლარში)

6. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო პორტფელი	ფინანსური იჯარის გაუფასურების რეზერვი			სულ 2020
	1-ლი ეტაპი	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი	
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>(311,939)</b>	<b>(73,875)</b>	<b>(263,380)</b>	<b>(649,194)</b>
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	(131,360)	-	-	(131,360)
გადატანები 1-ელ ეტაპზე	(204,993)	191,842	13,151	-
გადატანები მე-2 ეტაპზე	820,649	(1,054,864)	234,215	-
გადატანები მე-3 ეტაპზე	469,355	550,259	(1,019,614)	-
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(880,918)	(460,378)	(774,373)	(2,115,669)
დაფარული აქტივები	59,986	12,454	170,692	243,132
ჩამოწერა	-	-	1,112,998	1,112,998
სხვა მოძრაობები*	(1,483)	(1,166)	(5,989)	(8,638)
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(180,703)</b>	<b>(835,728)</b>	<b>(532,300)</b>	<b>(1,548,731)</b>

\* სხვა მოძრაობები მოიცავს ვალუტის საკურსო სხვაობებს.

უზრუნველყოფის საგნის ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წმინდა ინვესტიციაზე მე-3 ეტაპის იჯარებში 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნება უფრო მაღალი შემდეგი ოდენობით:

	2021	2020
საცალო იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	560,669	2,569,446
კორპორატიულ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	7,650,327	5,888,038
<b>სულ ფინანსური იჯარის გაუფასურების რეზერვი</b>	<b>8,210,996</b>	<b>8,457,484</b>

7. საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები

	2021	2020
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები - დასაკუთრებული	5,515,838	12,319,298
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები - დასაკუთრებას დაქვემდებარებული	7,167,506	25,606,908
<b>საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები</b>	<b>12,683,344</b>	<b>37,926,206</b>

(თანხები მოცემულია ლარში)

## 8. საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები

საიჯარო ოპერაციებისთვის შეძენილი აქტივები წარმოადგენს აქტივებს, რომლებიც შემდგომში მოიჯარეებს გადაეცემა. მიმწოდებლებზე გაცემული ავანსები საიჯარო ოპერაციებისთვის წარმოადგენს მიმწოდებლების მიმართ განხორციელებულ გადახდებს აქტივებისთვის, რომლებიც შემდგომში მოიჯარეებს გადაეცემა.

ჯგუფი ფინანსური რისკის წინაშე დგას საიჯარო მიზნებისთვის შეძენილ აქტივებთან და მიმწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებთან დაკავშირებით საიჯარო ოპერაციებისთვის, რადგან ეს აქტივები წარმოადგენს ანგარიშსწორების პირველ ეტაპს საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებიც იჯარის ვადის გასვლის შემდეგ ხორციელდება.

	<u>2021</u>	<u>2020</u>
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები	5,155,204	3,683,167
<b>საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები</b>	<b><u>5,155,204</u></b>	<b><u>3,683,167</u></b>

## 9. გადასახადები

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. 2018 წლის 27 დეკემბერს ბანკებისთვის ცვლილებები ეფექტური თარიღი 2023 წლის 1 იანვრით შეიცვალა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება მოგების გადასახადით არ იბეგრება.

2021 წელს ჯგუფმა აღიარა მოგების გადასახადის ხარჯი 698 ლარის (2020 წ.: 7,790 ლარი) ოდენობით, იმ დანახარჯებისთვის, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობებს.

(თანხები მოცემულია ლარში)

## 10. ძირითადი საშუალებები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ძირითად საშუალებებში შემდეგი ცვლილებები დაფიქსირდა:

	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	აქტივის გამოყენების უფლება	სულ
<b>თვითღირებულება</b>					
2019 წლის 31 დეკემბერს	139,488	771,776	252,235	1,023,169	2,186,668
შესყიდვები	17,020	167,009	1,286	-	185,315
აქტივის გამოყენების უფლების აღიარება	-	-	-	703,860	703,860
გასვლები და ჩამოწერები	-	-	-	(476,570)	(476,570)
რეკლასიფიკაცია	(67,387)	-	-	-	(67,387)
<b>2020 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>89,121</b>	<b>938,785</b>	<b>253,521</b>	<b>1,250,459</b>	<b>2,531,886</b>
შესყიდვები	40,910	62,901	1,556	-	105,367
აქტივის გამოყენების უფლების აღიარება	-	-	-	(236,917)	(236,917)
გასვლები და ჩამოწერები	-	-	-	-	-
რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	-
<b>2021 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>130,031</b>	<b>1,001,686</b>	<b>255,077</b>	<b>1,013,542</b>	<b>2,400,336</b>
<b>ცვეთა</b>					
2019 წლის 31 დეკემბერს	101,459	418,395	78,264	337,535	935,653
ცვეთის ხარჯი	39,482	198,695	111,683	362,477	712,337
გასვლები და ჩამოწერები	-	-	-	(403,584)	(403,584)
რეკლასიფიკაცია	(54,871)	-	-	-	(54,871)
<b>2020 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>86,070</b>	<b>617,090</b>	<b>189,947</b>	<b>296,428</b>	<b>1,189,535</b>
ცვეთის ხარჯი	10,648	183,219	74,135	334,687	602,689
გასვლები და ჩამოწერები	-	-	-	(215,633)	(215,633)
რეკლასიფიკაცია	12,158	-	(13,059)	-	(901)
<b>2021 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>108,876</b>	<b>800,309</b>	<b>251,023</b>	<b>415,483</b>	<b>1,575,690</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>					
2020 წლის 31 დეკემბერს	3,051	321,695	63,574	954,031	1,342,351
2021 წლის 31 დეკემბერს	21,155	201,377	4,054	598,059	824,646

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით სამწლიან სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

## 11. სხვა აქტივები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
<b>სხვა ფინანსური აქტივები</b>		
აქტივების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი დებიტორული დავალიანება	4,671,939	225,620
მისაღები საკომისიო	396,981	594,289
ადმინისტრაციული ჯარიმები	147,783	374,471
ვადაგადაცილებული საიჯარო გადასახადების დღგ-ის ნაწილი	81,462	94,504
ფულადი გარანტიები ფორვარდული ხელშეკრულებებისთვის	-	704,051
სხვა	73,532	44,322
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	(179,533)
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>5,371,696</b>	<b>1,857,724</b>
<b>სხვა არაფინანსური აქტივები</b>		
არამატერიალური აქტივები	610,825	412,079
<b>სხვა აქტივები, სულ</b>	<b>5,982,521</b>	<b>2,269,803</b>



(თანხები მოცემულია ლარში)

## 11. სხვა აქტივები (გაგრძელება)

არამატერიალურ აქტივებს სასრული ვადა აქვს და ამორტიზდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით 10 წლიან სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,033,791 ლარს (2020 წ.: 799,732 ლარი) შეადგენს. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის დაგროვილი ამორტიზაცია 422,967 ლარია (2020 წ.: 387,653 ლარი). 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის დარიცხული ამორტიზაცია 35,314 ლარს (2020 წ.: 96,527 ლარი) შეადგენდა

ფინანსური აქტივების კლასიფიცირებულია პირველი ეტაპის სახით. ეტაპები აღწერილია მე-18 შენიშვნაში. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვების ცვლილების ანალიზი მოიცავდა შემდეგს:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	179,533
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა	(179,533)
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>-</b>

## 12. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	2021	2020
<b>სხვა ფინანსური ვალდებულებები</b>		
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,831,278	616,521
წლიური ფულადი ბონუსების დარიცხვები	167,500	231,709
გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურება	43,686	668,560
წარმოებული ვალდებულებები	-	1,540,759
სხვა	37,024	277,711
<b>სხვა ვალდებულებები</b>	<b>2,079,488</b>	<b>3,335,260</b>

სავალუტო რისკის შესამსუბუქებლად ჯგუფი წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს იყენებს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს, რომლებიც აღრიცხულია აქტივებად და ვალდებულებებად მათ პირობით თანხებთან ერთად. ჯამურად აღრიცხული პირობითი თანხა წარმოადგენს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის საბაზისო აქტივის თანხას და საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ფასდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილება. პირობითი თანხები ასახავს ოპერაციათა მოცულობას წლის ბოლოსთვის და არ მოიცავს საკრედიტო რისკს.

	2021			2020		
	პირობითი თანხა	სამართლიანი ღირებულებები		პირობითი თანხა	სამართლიანი ღირებულება	
		აქტივი	პასუხისმგებ ლობა		აქტივი	პასუხისმგებ ლობა
<b>უცხოური ვალუტის ხელშეკრულებები</b>						
სავალუტო სვოპი - ადგილობრივი	-	-	-	25,557,480	-	1,540,759
<b>სულ წარმოებული აქტივები/ვალდებულებები</b>		<b>-</b>	<b>-</b>		<b>-</b>	<b>1,540,759</b>

(თანხები მოცემულია ლარში)

### 13. კლიენტებისგან მიღებული ავანსები

კლიენტებისგან მიღებული ავანსები წარმოადგენს წინსწრებით მიღებულ თანამონაწილებას და გეგმიურ შენატანებს, რომელიც შემდგომში აღიარდება საიჯარო გადახდად ინვოისის გაცემის თარიღში.

	2021	2020
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	3,203,124	2,759,041
<b>კლიენტებისგან მიღებული ავანსები</b>	<b>3,203,124</b>	<b>2,759,041</b>

### 14. სასესხო კრედიტორული დავალიანება

	2021	2020
ვალდებულებები ადგილობრივი ბანკების მიმართ	36,527,032	47,159,985
ვალდებულებები საერთაშორისო საფინანსო კომპანიის	15,760,276	16,603,401
<b>სულ გადასახდელი სესხები</b>	<b>52,287,308</b>	<b>63,763,386</b>

ადგილობრივი ბანკების მიმართ ვალდებულებები 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად მოიცავს მფლობელისგან და სხვა ადგილობრივი ბანკებისგან. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარ სესხებზე ირიცხება საპროცენტო განაკვეთი 6,75%-დან 13,5%-მდე განაკვეთი (2020 წ.: 6,75%-დან 12,00%-მდე) და მათი დარჩენილი დაფარვის პერიოდია 87-დან 608 დღემდე (2020 წ.: 85-დან 973 დღემდე).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ადგილობრივი ბანკების მიმართ ვალდებულებები უზრუნველყოფილია ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნებით, რომელთა საბალანსო ღირებულებაც 61,815,613 ლარია (2020 წ.: 100,406,010 ლარი).

### 15. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

	2021	2020
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	80,056,666	82,893,196

2021 წლის ივლისში ჯგუფმა საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამოუშვა 12,000,000 აშშ დოლარის ორწლიანი ობლიგაციები, რომლებიც სრულად გაყიდული იყო 2021 წელს. გამოშვებულ იქნა ახალი ობლიგაციები 1,000 აშშ დოლარის და 1,000 ევროს ნომინალური ღირებულებით, და მათი წლიური ფიქსირებული კუპონის განაკვეთი იყო 5,8% და 4,8% წელიწადში, შესაბამისად. ეს შემოსავალი გამოყენებული იქნა 2018 და 2019 წლებში გამოშვებული ობლიგაციების სრულად გადასაფარად.

### 16. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	2021 წლის 1 იანვარი	მიღებული სახსრები	სესხის დაფარვა	სავალუტო კურსის მომართობა	სხვა	2021 წლის 31 დეკემბერი
პროცენტის სესხები და ნასესხები სახსრები (გარდა ქვემოთ ჩამოთვლილისა)	63,763,386	42,360,725	(52,725,812)	(707,469)	(403,522)	52,287,308
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	82,893,196	47,359,321	(46,706,102)	(5,196,503)	1,706,754	<b>80,056,666</b>
<b>სულ ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ვალდებულებები</b>	<b>146,656,582</b>	<b>89,720,046</b>	<b>(99,431,914)</b>	<b>(5,903,972)</b>	<b>1,303,232</b>	<b>132,343,974</b>

(თანხები მოცემულია ლარში)

**16. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში (გაგრძელება)**

	2020 წლის 1 იანვარი	მიღებული სახსრები	სესხის დაფარვა	სავალუტო კურსის მოძრაობა	სხვა	2020 წლის 31 დეკემბერი
პროცენტული სესხები და ნასესხები სახსრები (გარდა ქვემოთ ჩამოთვლილისა)	86,170,329	76,040,932	(104,065,296)	5,448,435	168,986	<b>63,763,386</b>
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	72,538,704	11,945,497	(12,278,400)	10,054,499	632,896	<b>82,893,196</b>
<b>სულ ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ვალდებულებები</b>	<b>158,709,033</b>	<b>87,986,429</b>	<b>(116,343,696)</b>	<b>15,502,934</b>	<b>801,882</b>	<b>146,656,582</b>

მუხლი სახელწოდებით „სხვა“ შეიცავს სხვაობას სხვა ნასესხებ სახსრებზე და გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე დარიცხულ და გადახდილ პროცენტს შორის.

**17. საიჯარო ვალდებულება**

	2021	2020
<b>1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>1,057,767</b>	<b>736,253</b>
შესყიდვები	5,560	703,860
საპროცენტო ხარჯი	56,486	53,811
გადახდები	(445,458)	(463,391)
გასხვისება და ჩამოწრა	(102,780)	(74,063)
FX ეფექტი	(37,037)	101,297
<b>31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>534,539</b>	<b>1,057,767</b>

ჯგუფი აღიარებს საიჯარო ხარჯს მოკლევადიანი იჯარებიდან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებიდან 413,151 ლარის ოდენობით 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (2020 წ.: 367,987 ლარი).

ჯგუფის მთლიანი ფულადი ნაკადები იჯარებზე 858,609 ლარის ოდენობით 2021 წელს (2020 წ.: 831,038 ლარი).

**18. საკუთარი კაპიტალი**

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს საწესდებო კაპიტალში ჯამში 3,180,000 ლარით ჰქონდა შევსებული.

2021 და 2020 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა.

**დამატებით შეტანილი კაპიტალი**

დამატებით შეტანილი კაპიტალი გამოიყენება თანამშრომლებზე, მათ შორის ხელმძღვანელობის ზედა რგოლზე, ანაზღაურების სახით გაცემული წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული წილობრივი გადახდების აღიარებისთვის. ამ სქემის შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ 22-ე შენიშვნა.

(თანხები მოცემულია ლარში)

## 18. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

### კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფის მიზნებია:

- ▶ უზრუნველყოს კაპიტალს იმ დონეზე შენარჩუნება, რომ დააკმაყოფილოს კრედიტორების ყველა პირობა და შეინარჩუნოს ძლიერი საკრედიტო რეიტინგი და კაპიტალის ჯანსაღი კოეფიციენტები თავისი ბიზნესის მხარდაჭერისა და მონაწილეთა ღირებულების მაქსიმიზაციისთვის.
- ▶ უზრუნველყოს ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რომ მან გააგრძელოს მფლობელებისთვის უკუგების, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა.
- ▶ ამ მიზნების მისაღწევად ჯგუფი ატარებს მნიშვნელოვანი პოტენციური საიჯარო პროექტების დეტალურ ანალიზს და ამისათვის აწესებს კლიენტებისგან პირველადი შენატანის ინდივიდუალურ მინიმალურ მოთხოვნას და ამოწმებს საკრედიტო რეიტინგს.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წლებში კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა თუ პროცესებში ცვლილებები არ შესულა.

## 19. სხვა შემოსავალი

	<u>2021</u>	<u>2020</u>
შემოსავალი გაყიდული აქტივებიდან	7,429,448	46,443
სადაზღვევო კომპენსაცია	1,656,162	458,377
დაზღვევიდან მიღებული საკომისიო	387,460	381,425
შემოსავალი ვადაზე ადრე გამოსყიდვის საკომისიოდან	281,127	243,731
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	6,755	9,083
სხვა	744,635	118,287
<b>სხვა შემოსავლები, სულ</b>	<b><u>10,505,587</u></b>	<b><u>1,257,346</u></b>

## 20. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	<u>2021</u>	<u>2020</u>
სადაზღვევო ხარჯები	5,694,361	6,783,542
საოპერაციო გადასახადი მოგების გადასახადის გარდა	1,517,649	1,933,561
იურიდიული და პროფესიული მომსახურება*	739,691	878,096
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	638,003	808,863
საიჯარო ხარჯი	413,151	367,987
სარეკლამო მომსახურება	174,020	325,707
მგზავრობის ხარჯი	143,702	90,658
საბანკო მომსახურება	7,088	11,297
GPS-ის ხარჯები	1,138	4,813
შეკეთების ხარჯები	-	31,213
სხვა	513,408	580,375
<b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b>	<b><u>9,842,211</u></b>	<b><u>11,816,112</u></b>

(თანხები მოცემულია ლარში)

## 20. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (გაგრძელება)

ჯგუფის აუდიტორის ანაზღაურება 31 დეკემბრით დასრულებული 2021 და 2020 წლებისთვის მოიცავს შემდეგს (დღგ-ის გარეშე):

	2021	2020
გასამრჯელო ჯგუფის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის	170,368	180,213

## 21. ფინანსური რისკის მართვა

### შესავალი

ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტები ძირითადად შედგება ფულადი სახსრებისგან, ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნებისგან, ასევე სასესხო კრედიტორული დავალიანებისა და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდებისგან. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ჯგუფს აქვს საკრედიტო ლიკვიდურობის, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკები.

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება.

ჯგუფი ფლობს უზრუნველყოფას იჯარებში წმინდა ინვესტიციებზე და მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე. ღირებულების განსაზღვრა ეფუძნება ფინანსური იჯარის და სასესხო ხელშეკრულების გაფორმების დროს შეფასებულ ღირებულებას და ისინი ზოგადად არ განახლდება.

### გაუფასურება

ფასს (IFRS) 9-ის მიღებამ ფუნდამენტალურად შეცვალა ჯგუფის მიერ იჯარის გაუფასურების აღრიცხვა, ბასს (IAS) 39-ის განცდილი ზარალის მიდგომის მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით ჩანაცვლების გზით. 2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი აღრიცხავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს იჯარასთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნის და იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ფლობაც არ ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით, წილობრივი ინსტრუმენტები არ ექვემდებარება გაუფასურებას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება იმ საკრედიტო ზარალების საფუძველზე, რომელთა წარმოშობაც მოსალოდნელია აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში („აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკრედიტო რისკი არ გაზრდილა აქტივის წარმოშობიდან, რა შემთხვევაშიც, რეზერვი ეყრდნობა 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

(თანხები მოცემულია ლარში)

## 21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ჯგუფმა მიიღო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. ზემოთ ხსენებული პროცესის საფუძველზე, ჯგუფმა მისი ფინანსური აქტივები პირველ, მეორე და მესამე ეტაპებში გააერთიანა, რომლებიც ქვემოთ არის აღწერილი:

- როდესაც ფინანსური აქტივები პირველად აღიარდება, ჯგუფი რეზერვს აღიარებს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. პირველი ეტაპის ფინანსური აქტივები ასევე მოიცავს ობიექტებს, სადაც საკრედიტო რისკი შემცირდა, ხოლო ფინანსური აქტივი 1-ლი ეტაპი რეკლასიფიცირებულია მეორე ეტაპიდან.
- როდესაც ფინანსური აქტივი ავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას წარმოშობის თარიღის შემდეგ, ჯგუფი აღრიცხავს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე ეტაპის ფინანსური აქტივები ასევე მოიცავს ობიექტებს, რომელშიც მე-2 ეტაპი საკრედიტო რისკი შემცირდა, ხოლო ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია მესამე ეტაპიდან.
- ფინანსური აქტივები გაუფასურებულად მიიჩნევა. ჯგუფი აღრიცხავს აქტივის არსებობის მანძილზე მე-3 ეტაპი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტს დეფოლტირებულად მიიჩნევს და შესაბამისად მას მესამე ეტაპში აღრიცხავს (გაუფასურებული) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისთვის, კორპორატიული საიჯარო პორტფელის და საცალო საიჯარო პორტფელის შემთხვევაში, როცა მსესხებელს ექნება 90- და 60-დღიანი ვადაგადაცილება (შესაბამისად), კონტრაჰენტთან სახელშეკრულებო გადახდებზე, სულ მცირე ერთი ოპერაციისთვის, ან როდესაც არსებობს გაუფასურების სხვა მაჩვენებლები.

ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს კოლექტიურ საფუძველზე, ფინანსური აქტივის ყველა კლასისთვის, რომლებსაც ის აჯგუფებს ერთგვაროვანულ პორტფელებად, აქტივების შიდა და გარე მახასიათებლების კომბინაციის საფუძველზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მნიშვნელოვანი ელემენტები მოცემულია ქვემოთ:

- დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს დეფოლტის წარმოშობის ალბათობის შეფასებით მოცემული დროითი ინტერვალის განმავლობაში და ის განისაზღვრება რისკ-სეგმენტის და ვადაგადაცილების ჯგუფის საფუძველზე, შესაბამისი პერიოდისთვის (ინსტრუმენტის 12 თვეში ან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი დეფოლტის ალბათობა). მაჩვენებლები განისაზღვრება შიდა სტატისტიკის საფუძველზე, მიგრაციის მატრიცის გამოყენებით). მაკროეკონომიკურ ვითარებაში მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებები გამოიყენება საპროგნოზო ინფორმაციის სახით. დეფოლტი შეიძლება დადგეს შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში, თუ ფინანსური აქტივის აღიარება მანამდე არ შეწყვეტილა და ჯერ კიდევ პორტფელის ნაწილია.
- PD
- რისკს ქვეშ მყოფი აქტივების თანხა წარმოადგენს ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკის შეფასებას.
- EAD
- დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში არის იმ წარმოშობილი ზარალის დონე, რომელიც წარმოიქმნება ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში და რომელიც ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას (დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით).
- დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლებსაც ჯგუფი იღებს და რომლის მიღებასაც მოელის, აქტივის სარეალიზაციო ხარჯის გათვალისწინებით. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ღირებულება განისაზღვრება შიდა სტატისტიკების საფუძველზე შემუშავებული მოდელების გამოყენებით.
- LGD

(თანხები მოცემულია ლარში)

## 21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს სამი მაკროეკონომიკური სცენარის საფუძველზე (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური), რომელიც ალბათობით იწონება თითოეული სცენარი განისაზღვრება შეწონილ საფუძველზე, სტატისტიკური ანალიზის და საექსპერტო მსჯელობის კომბინაციის საფუძველზე, რომელიც ეხება სცენარებით წარმოდგენილი შესაძლოა შედეგების დიაპაზონთან მიმართებაში. მიდინარე მონაცემები და მოსალოდნელი ცვლილებები მაკროეკონომიკურ ცვლადებში გამოიყენება საპროგნოზო ინფორმაციის სახით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მისეულ მაკროეკონომიკურ მოდელში, ჯგუფი ეყრდნობა საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციას.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

- ▶ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, რომლებიც სარეიტინგო სააგენტო „Fitch Ratings“-ის მიერ 'BB-' რეიტინგით შეფასებულ ბანკშია განთავსებული;
- ▶ ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომლებიც ქვემოთ არის აღწერილი.

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების საკრედიტო ხარისხი ჯგუფის მიერ იმართება საკრედიტო ხარისხის ჯგუფების მეშვეობით. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების საკრედიტო ხარისხი მათი კლასების მიხედვით, ჯგუფის საკრედიტო ხარისხის ჯგუფების სისტემაზე დაყრდნობით.

შენიშვნა	მალალი შეფასება 2021	სტანდარტული შეფასება 2021	ქვესტანდარტული			სულ 2021
			ი შეფასება 2021	გაუფასურებული 2021	სულ 2021	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	1-ლი ეტაპი	58,674,529	-	-	-	58,674,529
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები:						
კორპორაციული იჯარები	1-ლი ეტაპი	17,039,205	6,018,200	4,381,438	-	27,438,843
	მე-2 ეტაპი	6,825,259	2,240,957	4,253,182	-	13,319,398
	მე-3 ეტაპი	-	-	-	11,551,047	11,551,047
კომერციული ფართების იჯარა	1-ლი ეტაპი	13,212,930	2,261,639	4,048,058	-	19,522,627
	მე-2 ეტაპი	742,640	347,267	1,381,308	-	2,471,215
	მე-3 ეტაპი	-	-	-	740,444	740,444
შენიშვნა	მალალი შეფასება 2020	სტანდარტული შეფასება 2020	ქვესტანდარტული			სულ 2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	1-ლი ეტაპი	24,441,068	-	-	-	24,441,068
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები:						
კორპორაციული იჯარები	1-ლი ეტაპი	18,006,575	5,187,760	5,228,458	-	28,422,793
	მე-2 ეტაპი	8,048,546	11,365,807	12,617,080	-	32,031,433
	მე-3 ეტაპი	-	-	-	9,494,433	9,494,433
კომერციული ფართების იჯარა	1-ლი ეტაპი	5,466,052	6,324,589	2,050,029	-	13,840,670
	მე-2 ეტაპი	1,986,515	7,146,229	9,829,343	-	18,962,087
	მე-3 ეტაპი	-	-	-	4,000,289	4,000,289

(თანხები მოცემულია ლარში)

## 21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ჯგუფმა იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან მიმართებით განსაზღვრა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის შეფასების პოლიტიკა, შემდეგი სახით: ფინანსური აქტივი ფასდება ფინანსურ აქტივად მაღალი საფეხურით:

- ▶ კორპორატიული პორტფელისთვის, თუ ფინანსურ აქტივს მაქსიმალური ვადაგადაცილებული დღე აქვს, 30 დღეზე ნაკლები განვლილი 24 თვის განმავლობაში;
- ▶ საცალო პორტფელისთვის, თუ ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებული არ ყოფილა განვლილი 24 თვის განმავლობაში.

ფინანსური აქტივი ფასდება ფინანსურ აქტივად სტანდარტული საფეხურით:

- ▶ კორპორატიული პორტფელისთვის, თუ ფინანსურ აქტივს 30 დღეზე მეტი და 60 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებული დღე აქვს განვლილი 24 თვის განმავლობაში;
- ▶ საცალო პორტფელისთვის, თუ ფინანსურ აქტივს მაქსიმალური ვადაგადაცილებული დღე აქვს, 30 დღეზე ნაკლები განვლილი 24 თვის განმავლობაში;

ფინანსური აქტივი ფასდება ფინანსური აქტივის სახით სტანდარტს ზემოთ საფეხურით:

- ▶ კორპორატიული პორტფელისთვის, თუ ფინანსურ აქტივს 60 დღეზე მეტი და 90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებული დღე აქვს განვლილი 24 თვის განმავლობაში;
- ▶ საცალო პორტფელისთვის, თუ ფინანსურ აქტივს მაქსიმალური ვადაგადაცილებული დღე აქვს, 30 დღეზე მეტი განვლილი 24 თვის განმავლობაში.

ჯგუფის პოლიტიკა ითვალისწინებს საიჯარო პორტფელის რისკების ზუსტ და სისტემატურ შეფასებას. ეს ამარტივებს არსებული რისკების ეფექტურ მართვასა და საკრედიტო რისკის გავლენის შედარებას საქმიანობის ყველა სფეროს მიხედვით.

### ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. ცხრილში წარმოდგენილი მთლიანი ნომინალური გადინება წარმოადგენს ფინანსური დავალიანების სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ დაფარვის ვალდებულებას. ფაქტობრივი ფულადი ნაკადები ამ ფინანსურ ვალდებულებებზე შეიძლება ამ ანალიზისგან განსხვავდებოდეს.

ფინანსური ვალდებულებები	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	სულ
<b>2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>				
საიჯარო ვალდებულებები	86,176	258,527	226,983	571,686
სასესხო კრედიტორული დავალიანება	5,839,326	42,063,066	8,282,268	56,184,660
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	2,481,220	33,454,644	50,319,864	86,255,728
<b>სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>8,406,722</b>	<b>75,776,237</b>	<b>58,829,115</b>	<b>143,012,074</b>



(თანხები მოცემულია ლარში)

## 21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

### ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	სულ
<b>2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>				
საიჯარო ვალდებულებები	109,929	329,787	726,274	1,165,990
სასესხო კრედიტორული დავალიანება	6,803,277	41,354,661	21,488,297	69,646,235
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	2,438,443	51,782,245	35,223,450	89,444,138
<b>სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>9,351,649</b>	<b>93,466,693</b>	<b>57,438,021</b>	<b>160,256,363</b>

### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ის ვალუტები, რომლებში გამოხატულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე პროგნოზირებულ ფულად ნაკადებზე ჯგუფს 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი რისკი აქვს. ანალიზი გამოითვლის ლართან მიმართებაში სავალუტო კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი მერყეობის გავლენას, როდესაც ყველა სხვა ცვლადი მუდმივია კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში. ცხრილში უარყოფითი თანხა ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, ხოლო დადებითი თანხა ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

ვალუტა	ლარის გაცვლითი კურსის გამყარება შესაბამის ვალუტასთან მიმართებაში, %	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე 2021	ლარის გაცვლითი კურსის გამყარება შესაბამის ვალუტასთან მიმართებაში, %	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე 2020
	2021		2020	
ევრო	16.00%	(75,441)	16.00%	(2,484,452)
აშშ დოლარი	15.00%	(150,438)	15.00%	3,064,147

ვალუტა	ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება შესაბამის ვალუტასთან მიმართებაში, %	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე 2021	ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება შესაბამის ვალუტასთან მიმართებაში, %	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე 2020
	2021		2020	
ევრო	(8.00%)	37,721	(8.00%)	1,242,226
აშშ დოლარი	(7.00%)	70,204	(7.00%)	(1,429,935)



(თანხები მოცემულია ლარში)

### 23. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთ არის განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთია:

	2021		2020	
	მშობელი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები*	მშობელი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები*
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები	-	-	-	-
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებიდან	665,047	-	1,122,392	-
სვოპები (წარმოებული ვალდებულებები)	-	-	1,540,759	-
<b>სასესხო კრედიტორული დავალიანება 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>3,229,558</b>	<b>-</b>	<b>15,616,887</b>	<b>-</b>
წლის განმავლობაში მიღებული სესხები	6,446,400	-	14,102,701	-
სესხის დაფარვა წლის განმავლობაში	(6,446,400)	-	(26,468,668)	-
სხვა მოძრაობა / სხვა დანარიცხები/(გადახდები)	(877)	-	(21,362)	-
<b>სასესხო კრედიტორული დავალიანება 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>3,228,681</b>	<b>-</b>	<b>3,229,558</b>	<b>-</b>
სასესხო კრედიტორული დავალიანების საპროცენტო ხარჯი	368,491	-	1,540,727	-
<b>1 იანვრისთვის გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები</b>	<b>-</b>	<b>3,627,121</b>	<b>-</b>	<b>3,440,712</b>
წლის განმავლობაში გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	1,526,895	-	3,442,083
წლის განმავლობაში შესყიდული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	(3,627,121)	-	(1,482,476)
სხვა მოძრაობები	-	2,169,588	-	(1,773,198)
<b>31 დეკემბრისთვის გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები</b>	<b>-</b>	<b>3,696,483</b>	<b>-</b>	<b>3,627,121</b>
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო ხარჯი	-	361,604	-	394,944
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7,362,131	-	24,425,257	-

\* საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებში „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ წევრებიც შედიან.

(თანხები მოცემულია ლარში)

### 23. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

უმალესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება (კომპანიის გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მოადგილე) ასე გამოიყურება:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ნაღდი ფულით გაცემული პრემიები	455,299	475,000
წილობრივი ანაზღაურება (22-ე შენიშვნა)	109,302	130,925
<b>სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება</b>	<b>564,601</b>	<b>605,925</b>

### 24. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ქვემოთ ცხრილში მოცემულია იმ აქტივების და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით:

	სამართლიანი ღირებულების შეფასება:				სულ	საბალანსო ღირებულება	აუღიარებელი შემოსულობა / (ზარალი)
	აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დონე 1)	მნიშვნელოვან ი ემპირიული მონაცემები (დონე 2)	მნიშვნელოვან ი არასაბაზრო მონაცემები (მე-3 დონე)	სულ			
<b>2021 წლის 31 დეკემბერს</b>							
<b>აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი</b>							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	58,674,529	-	58,674,529	58,674,529	-	
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	-	73,171,460	73,171,460	75,043,574		(1,872,114)
<b>ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი</b>							
საიჯარო ვალდებულებები	-	-	534,539	534,539	534,539		-
სასესხო კრედიტორული დავალიანება	-	-	52,287,308	52,287,308	52,287,308		-
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	80,056,666	-	80,056,666	80,056,666		-

(თანხები მოცემულია ლარში)

**24. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა (გაგრძელება)**

2020 წლის 31 დეკემბერს	სამართლიანი ღირებულების შეფასება:				სულ	საბალანსო ღირებულება	აუღიარებელი შემოსულობა / (ზარალი)
	აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დონე 1)	მნიშვნელოვან იმპირიული მონაცემები (დონე 2)	მნიშვნელოვან არასაბაზრო მონაცემები (მე-3 დონე)	სულ			
აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	24,441,068	-	<b>24,441,068</b>	24,441,068	-	
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	-	104,508,864	<b>104,508,864</b>	106,751,705	(2,242,841)	
ვალდებულებები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი							
საიჯარო ვალდებულებები	-	-	1,057,767	<b>1,057,767</b>	1,057,767	-	
სასესხო კრედიტორული დავალიანება	-	-	63,763,386	<b>63,763,386</b>	63,763,386	-	
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	82,894,143	-	<b>82,894,143</b>	82,893,196	947	

31 დეკემბრით დასრულებული 2021 წლისა და 2020 წლის განმავლობაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადატანები არ მომხდარა.

**ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას**

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლე ვადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიანი ღირებულებას. ეს დაშვება ასევე ვრცელდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების მქონე სასესხო კრედიტორულ დავალიანებაზე.

**ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები**

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

(თანხები მოცემულია ლარში)

## 25. აქციებზე დაფუძნებული გადახდები

ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული წილობრივი გადახდის ხარჯი 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იყო ნული ლარი (2020 წ.: 144,240 ლარი). 2020 წელს 109,302 ლარი აღიარებული იყო ხელფასებსა და თანამშრომელთა სხვა სარგებელში სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და სხვა რეზერვად ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში (2020 წ.: 158,985 ლარი).

## 26. სასამართლოში საქმის წარმოება

საბალანსო უწყისის შედგენის თარიღში კომპანიის ხელმძღვანელობას არ აქვს ინფორმაცია მიმდინარე ან შეჩერებული სამართლებრივი საქმეთა წარმოების შესახებ, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს დავის რისკი სასამართლოში კომპანიის წინააღმდეგ, რასაც შესაძლოა არსებითი გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე საანგარიშგებო თარიღში.

## 27. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

კომპანიას 2022 წლის თებერვალში ჭარბი ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების გამო გამოიყენა ვადაზე ადრე დაფარვის შესაძლებლობა 2020 წელს გამოშვებული 10,000,000 აშშ დოლარის ობლიგაციისთვის. ამასთან კომპანიამ დაფარა „ვითიბი ბანკის“ მიმართ არსებული ნასესხები სახსრები 11,869,840 ლარის ოდენობით.

უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგად, მრავალმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესეს რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებს და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების და სხვა ბაზრების ლისტინგში შემავალი რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. რადგან ომი კვლავ მიმდინარეობს, შეუძლებელია კომპანიის საქმიანობაზე მისი გავლენის საიმედოდ შეფასება, რადგან ბუნდოვანია ზოგადად ეკონომიკაზე მისი ზემოქმედების მასშტაბები. კომპანიის ხელმძღვანელობა ადევნებს თვალს ეკონომიკურ ვითარებას. კომპანია უკრაინის ომს მიიჩნევს ანგარიშგების პერიოდის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად.

**მმართველობის ანგარიშგება**

**შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“**

**2021 წელი**

## სარჩევი

<b>შესავალი</b> .....	3
<b>1. საქმიანობის მიმოხილვა</b> .....	4
1.1. კომპანიის შესახებ .....	4
1.2. კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები .....	5
1.3. ფინანსური მდგომარეობა .....	14
1.4. სამომავლო სტრატეგია და მიზნები.....	18
<b>2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება</b> .....	19
2.1. მმართველი ორგანო და მენეჯმენტი .....	19
2.2. ფინანსური ანგარიშგების პროცედურები და რისკის მართვა .....	23
<b>3. არაფინანსური ანგარიშგება</b> .....	23
3.1. ბიზნეს პროცესები და პოლიტიკა .....	23
3.2. ჩვენი გუნდი .....	27



## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს შპს საქართველოს სალიზინგო კომპანიის ძირითადი საქმიანობის მიმოხილვას, არსებულ ფინანსურ მდგომარეობას და მნიშვნელოვანი მაჩვენებლების განხილვას, საოპერაციო საქმიანობის შედეგების მიმოხილვას. ასევე განხილულია კომპანიის სამომავლო სტრატეგია და მიზნები. ასევე მნიშვნელოვანი რისკების მიმოხილვა, რომლებმაც შეიძლება მოახდინოს გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

წინამდებარე დოკუმენტი ასახულია კომპანიის მმართველი რგოლებისა და მართვის სისტემების დეტალური განხილვა. ასევე ბიზნეს პროცესები და მნიშვნელოვანი მიმართულებების მართვის პოლიტიკა და პროცედურები.

*მმართველობით ანგარიშებაში მოცემული ფინანსური ინფორმაცია მოიცავს ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ ფინანსურ შედეგებს. ასევე ფინანსური ინფორმაციის განხილვის სექციაში მოცემული ფინანსური მაჩვენებლები ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური შედეგებს, რადგანაც შპს საქართველოს სალიზინგო კომპანიის შვილობილი კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები არის უმნიშვნელო.*

## 1. საქმიანობის მიმოხილვა


### 1.1. კომპანიის შესახებ

კომპანია 2001 წელს დააარსა „თბილუნინვერსალბანკმა“ და პირველი ქართული კომპანია იყო, რომელმაც ლიზინგის მომსახურების სახით მსურველებს დაფინანსების ალტერნატიული წყარო შესთავაზა სესხებისგან განსხვავებით. 2005 წელს ის საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია გახდა ორი ბანკის შერწყმის შედეგად. 2015 წლის აგვისტოში, რეორგანიზაციის შედეგად, სს „ბიჯი ფაინენშელი“ გამოეყო სს „საქართველოს ბანკს“ და შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ 100% -იანი წილის მფლობელი გახდა. 2017 წლის ივნისში კომპანიის 100% წილი სს „საქართველოს ბანკმა“ გადაიფორმა.

2015 წლის აპრილში კომპანიამ იყიდა შპს „პრაიმ ლიზინგი“ 100% იანი წილი, რომლის სალიზინგო პორტფელი დაახლოებით 2 მილიონ ლარს შეადგენდა. პორტფელის გადაწერა ეტაპობრივად ხდებოდა საქართველოს სალიზინგო კომპანიის ბალანსზე. დღეისთვის პრაიმ ლიზინგის პორტფელი განუღებულია.

ამჟამად კომპანიას (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) 66 თანამშრომელი ჰყავს. კომპანიის მთავარი მომხმარებლები მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და საცალო მომხმარებლები არიან, მას ჰყავს, აგრეთვე, რამდენიმე მსხვილი მომხმარებელი. კომპანიის პროდუქცია დიფერენცირებულია და ერგება როგორც კორპორატიული, ისე საცალო პირების მოთხოვნილებებს.

ემიტენტის ჯგუფის სტრუქტურა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:



2018 წლის 29 მაისს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული „ბიჯეო ჯგუფი“ ორად გაიყო. გაყოფის შედეგად, ლონდონის საფონდო ბირჟაზე ორი საჯარო კომპანიის აქციები არის სავაჭროდ დაშვებული - „საქართველოს ბანკის ჯგუფისა“ და „საქართველოს კაპიტალის“.

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში არ გაუკეთებია R&D მიმართულებით რაიმე პროექტი.

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია საკუთარი აქციების გამოსყიდვა.

### ფინანსური პროდუქტების ზოგადი მიმოხილვა

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის ფინანსურ პროდუქტებს, რომლებიც მორგებულია სხვადასხვა სეგმენტზე. კომპანიას სპეციფიკური პროდუქტები აქვს მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებისთვის, ასევე მცირე, საშუალო და მაღალშემოსავლიანი ფიზიკური პირებისთვის. კომპანიის მიერ შეთავაზებული ფინანსური პროდუქტები მიზნად ისახავს სხვადასხვა მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილებას.

## 1.2. კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები

### ლიკვიდობასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები

#### **კომპანია მნიშვნელოვან დაფინანსებას საჭიროებს თავისი საქმიანობისთვის და შესაძლებელია ვერ შეძლოს დროულად საჭირო თანხების მოძიება**

კომპანიის ბიზნესი აქტივების ზრდაზეა დაფუძნებული (შემოსავლის ზრდის აუცილებელი ფაქტორია აქტივის ზრდა, რაც გამოწვეულია სალიზინგო პროდუქტების რეალიზაციით), რაც მნიშვნელოვან დაფინანსებას საჭიროებს სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდის შესანარჩუნებლად და ოპერაციების და ვალების დასაფინანსებლად. კომპანიას დავალიანების ძირითადი თანხისა და პროცენტების დასაფარად მსხვილი თანხების გადახდა უწევს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია საკმაოდ დიდ თანხებს გამოიმუშავებს სალიზინგო ოპერაციებით, ნაღდ ფულზე მოთხოვნის დაკმაყოფილება გრძელვადიან პერსპექტივაში ითხოვს საგრძნობ ლიკვიდურობას და სტაბილურ წვდომას სხვადასხვა ფინანსურ წყაროზე. კომპანია ოპერაციებისა და საქმიანობის გაფართოების დასაფინანსებლად ძირითადად საბანკო კრედიტებს, გამოშვებულ ობლიგაციებსა, საწესდებო კაპიტალში ფულად შენატანებსა და ბიზნეს ოპერაციებიდან მიღებულ თანხებს იყენებს. თუ კომპანია ვერ შეინარჩუნებს დაფინანსების არსებულ სქემას კომერციულად მისაღები პირობებით, მას შესაძლოა დასჭირდეს დაფინანსების მოძიება ალტერნატიული წყაროებიდან. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომპანია დროულად შეძლებს დაფინანსების მოძიებას ახალი წყაროებიდან მისაღები პირობებით, რამაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს კომპანიის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

#### **კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს დავალიანებების დაფარვა და შესაძლოა მოუხდეს უფრო მეტი ვალის აღება**

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის ბიზნესი აქტივების ზრდაზეა დაფუძნებული, და აღნიშნული ძირითადად სესხით ფინანსდება, კომპანიას მოუწევს დავალიანების მაჩვენებლის შენარჩუნება მაღალ ნიშნულზე. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის სასესხო ვალდებულებები 132,344 ათას ლარს შეადგენდა. ამ თარიღებში კომპანიის გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი (სასესხო ვალდებულებებს მიწის ფული და ფულადი ექვივალენტები, შეფარდებული საკუთარ კაპიტალთან) 3.6x იყო. ზოგიერთ ფინანსურ გარიგებაში კრედიტორები უფლებამოსილები არიან, კომპანიას ვალების გადახდა ვადამდე მოსთხოვონ, თუ წინსწრებით გადახდის ვალდებულება გაჩნდება, როგორცაა გარკვეული რეგულაციური მაჩვენებლების დარღვევა, განსაზღვრული ვალი/უზრუნველყოფის ღირებულების თანაფარდობის ან უიმედო აქტივების წილის მისაღები დონის შეუსრულებლობა. არ არსებობს გარანტია, რომ მსგავსი შემთხვევები არ მოხდება. წინსწრებით გადახდის ვალდებულება შეამცირებს კომპანიის სამუშაო კაპიტალს და ლიკვიდურობას და, შესაბამისად, ნეგატიურ გავლენას მოახდენს მისი დაფინანსების უზრუნველყოფაზე.

მიმდინარე ვალების, საოპერაციო საქმიანობის დაფინანსებისა და ბიზნესის გაფართოების მიზნით ფულადი სახსრების ადეკვატური დონის შესანარჩუნებლად კომპანიას დასჭირდება დამატებითი თანხების მოძიება ბანკებისგან ან სხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვერ შეძლებს დამატებითი თანხების მოძიებას, ეს უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და გაფართოების შესაძლებლობებზე.

#### **არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანია შეძლებს ან გააგრძელებს აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დაცვას დავალიანებების ზრდასთან ერთად, რაც ზემოქმედებს მოახდენს ლიკვიდურობაზე და კომპანიის უნარზე, დაფაროს თავისი ვალდებულებები**

კომპანია მუდმივ რეჟიმში ცდილობს, შეუსაბამოს დაფინანსების ვადები (სესხის ვადიანობა) თავის აქტივებს (სალიზინგო დავალიანებები). მიუხედავად ამისა, მან შეიძლება ვერ შეძლოს დავალიანების დაფარვის ვადებისა და ვალდებულებების ეფექტურად დაბალანსება, ან შეიძლება მან ვერ მართოს ლიკვიდურობის რისკები სესხებისა და სალიზინგო აქტივების მხრივ, რაც თავისთავად ლიკვიდურობის დეფიციტს გამოიწვევს და კომპანიამ შეიძლება ვერ მოახერხოს ვადამოსული ვალების დაფარვა, რაც არსებითად და უარყოფითად იმოქმედებს მის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

## **საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.**

ვინაიდან ლიზინგიდან მიღებულ კომპანიის შემოსავალზეც და პროცენტებზეც, რომლებსაც ის დავალიანებაზე იხდის, საბაზრო საპროცენტო განაკვეთები ახდენს ზეგავლენას, ამ განაკვეთების დიდი ცვალებადობა ბაზარზე პირდაპირ იმოქმედებს დაფინანსების ხარჯებზე, ლიზინგის შემოსავალზე, სუფთა საპროცენტო მარჟაზე და

,თავის მხრივ, გავლენის ქვეშ მოექცევა კომპანიის მომგებიანობის მარჟები და ფინანსური მდგომარეობაც. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობა განპირობებულია იმ ფაქტორებით, რომელთა გაკონტროლება კომპანიას არ შეუძლია, მაგალითად, საბანკო და საფინანსო სექტორების ნორმატიული ჩარჩოებით და საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოთი.

### **საკრედიტო რისკები**

#### **აქტივების ხარისხის შენარჩუნების უუნარობამ შესაძლოა არსებითი და უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.**

საქმიანობის მდგრადობა და სამომავლო ზრდა ძირითადად დამოკიდებულია კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივების ეფექტურად მართვასა და მათი ხარისხის შენარჩუნებაზე. თუ კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივების ხარისხი გაუარესდება, ამან შეიძლება კომპანიის საქმიანობასა და საოპერაციო შედეგებზე არსებითი და არასასურველი ზეგავლენა იქონიოს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაკუთრებული აქტივების წილი კომპანიის მთლიან აქტივებში შეადგენდა 3.5%-ს. იგივე მაჩვენებელი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7% იყო, ხოლო დასაკუთრებას დაქვემდებარებული აქტივების წილი მთლიან აქტივებში 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, შეადგენდა 4.5% და 14.5%-ს (დასაკუთრებულ და დასაკუთრებას დაქვემდებარებულ აქტივებში შედის ის აქტივები, რომელთა შესაბამისი დებიტორული დავალიანების ჩამოწერა ხდება კლიენტის მხრიდან დავალიანების გადაუხდელობის გამო. ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი დებიტორული დავალიანება ჩამოწერება, აქტივი გადაფასდება და ბალანსზე აღირიცხება - „საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივების“ მუხლში).

კომპანიის მიერ დასაკუთრებული აქტივები შეიძლება გაიზარდოს მისი სალიზინგო აქტივების პორტფელის გაუარესების გამო. კომპანია მუდმივად აუმჯობესებს საკუთარ ბიზნეს მოდელს (აქტივების მართვასა და რისკების მართვას, განსაკუთრებით, საკრედიტო რისკების მართვას) და იღებს ზომებს ნეგატიურად კლასიფიცირებული აქტივების დონეების შესამცირებლად. მიუხედავად ამისა, კომპანიამ შეიძლება მომავალში ეფექტურად ვერ გააკონტროლოს ნეგატიურად კლასიფიცირებული აქტივები სალიზინგო აქტივების პორტფელში.

მომავალში კომპანიის სალიზინგო პორტფელი შეიძლება სხვადასხვა მიზეზით გაუარესდეს და მათ შორის ისეთი მიზეზებით, რომლებსაც კომპანია ვერ გააკონტროლებს. მაგალითად, საქართველოს ეკონომიკური ზრდის შენელება, საკრედიტო კრიზისის განვითარება ქვეყანაში ან არასასურველი საბაზრო ტენდენციები. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის პორტფელი საკმაოდ დივერსიფიცირებული და მრავალდარგობრივია, გამომდინარე ლიზინგის მიმღებთა საქმიანობის დარგებიდან, ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება იმ დარგებში, სადაც ლიზინგის მიმღებები საქმიანობენ, შეიძლება უარყოფითად აისახოს მათ ოპერაციებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე, რაც გავლენას მოახდენს მათ მიერ ფინანსური ვალდებულებების შესრულებაზე და შესაძლოა დეფოლტიც მოჰყვეს. სხვა ფაქტორები, რომლებსაც კომპანია ვერ აკონტროლებს და რომლებიც შეიძლება ლიზინგის მიმღებების ფინანსურ მდგომარეობაზე აისახოს, მოიცავს:

- საოპერაციო ხარჯების ზრდას;
- სამუშაო ძალის უკმარისობას;
- საპროცენტო განაკვეთებისა და ფინანსური ხარჯების რყევებს;
- ლიზინგის მიმღების სხვა ფინანსურ მხარდაჭერასთან წვდომას;
- ეკონომიკურ პირობებს და სავალუტო რყევებს იმ ქვეყნებსა და რეგიონებში, სადაც ლიზინგის მიმღები საქმიანობას ეწევა;
- კონკურენციას ლიზინგის მიმღების დარგში;
- სამთავრობო რეგულაციებს და მასთან დაკავშირებულ გადასახადებს, რაც ზეგავლენას ახდენს ლიზინგის მიმღების საქმიანობაზე; და გეოპოლიტიკურ და სხვა სახის მოვლენებს, მათ შორის ომის დაწყებას, ტერორისტულ აქტებს, ინფექციური დაავადებების გავრცელებასა და ბუნებრივ კატასტროფებს.

**კომპანიის სალიზინგო აქტივები და ფინანსური უზრუნველყოფა ან გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლიზინგს, შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი ან სრულად ვერ მოხდეს მათი რეალიზება.**

კომპანია სალიზინგო აქტივებს განიხილავს როგორც უზრუნველყოფას და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (მაღალრისკიან შემთხვევებში) მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენს უძრავ ქონებას. სალიზინგო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ვადების არსებითი დარღვევის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია, განკარგოს/გაყიდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია სალიზინგო ხელშეკრულების დასრულებისას ამოწმებს უზრუნველყოფაში დაგირავებულ ქონებას, მისი ღირებულება შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს და არსებითი და უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ მოექცეს ისეთი ფაქტორებით, როგორცაა, მიყენებული ზიანი, ჭარბი მიწოდება, დევალვაცია ან ბაზარზე მოთხოვნის შემცირება.

ანალოგიურად, გარანტორთა ფინანსური მდგომარეობის თუ კრედიტუნარიანობის არსებითმა გაუარესებამ შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს იმ თანხებზე, რომლებიც კომპანიას უნდა ამოეღო შესაბამისი გარანტიებით. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ სალიზინგო ხელშეკრულების პერიოდში გარანტორთა ფინანსური მდგომარეობა მოულოდნელად არ გაუარესდება ან ისინი არ გაკოტრდებიან.

თუ სალიზინგო აქტივების ფასი, ან დამატებითი ფინანსური უზრუნველყოფა თუ გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლიზინგს, არასაკმარისი აღმოჩნდება გადასახადების დროულად გადაუხდელობით გამოწვეული დანაკარგის ასანაზღაურებლად, კომპანიას შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი უზრუნველყოფის მოპოვება ლიზინგის მიმღებებისგან, თავლები პირებისგან ან სხვა წყაროებისგან. ეს უფლება გაწერილია ლიზინგის ხელშეკრულებაში, თუმცა არ არსებობს გარანტია, რომ კომპანია დამატებითი უზრუნველყოფის მოპოვებას შეძლებს. სალიზინგო აქტივების, ლიზინგის უზრუნველყოფისა და გარანტიების ღირებულების შემცირებამ ან კომპანიის უუნარობამ, მოიპოვოს დამატებითი უზრუნველყოფა, შესაძლოა აიძულოს კომპანია, შექმნას დამატებითი რეზერვები ან ჩამოწეროს ნეგატიურად კლასიფიცირებული აქტივები, რაც, თავის მხრივ, არსებითად და უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

ლიზინგის მიმღების დეფოლტის შემთხვევაში, კომპანიამ შესაძლოა ვერ მოახდინოს სალიზინგო აქტივების ლიკვიდაცია ან სხვა მხრივ რეალიზება, განსაკუთრებით მაშინ, თუ არ იარსებებს ლიკვიდური ბაზარი შესაბამისი აქტივების რეალიზაციისთვის. ასევე შესაძლებელია, რეალიზაციიდან მიღებული თანხები არ აღმოჩნდეს საკმარისი სალიზინგო ვალდებულების დასაფარად. გარდა ამისა, შესაძლებელია უზრუნველყოფის ლიკვიდაციის თუ რეალიზაციის პროცედურები დროში გაგრძელდეს და ეს უზრუნველყოფაც არალიკვიდური აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარე, რთული იქნება დაკისრებული საზღაურების თუ გირაოს გადახდევინება. გარკვეულ გარემოებებში, კომპანიის უფლება, დაისაკუთროს უზრუნველყოფა, შეიძლება სუბორდინირებული იყოს სხვა მხარეების უფლებების მიმართ (მაგალითად ჯვარედინი დეფოლტის შემთხვევაში). ნებისმიერმა გარემოებამ ზემოთ ჩამოთვლილთაგან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის შესაძლებლობაზე, დროულად ამოიღოს ან საერთოდ ამოიღოს სალიზინგო აქტივების ღირებულება ან ლიზინგის უზრუნველყოფა.

**ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვი შეიძლება არ იყოს საკმარისი მომავალი საკრედიტო დანაკარგების დასაფარავად**

კომპანია ქმნის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივების გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება მისი შიდა რეზერვირების პროცედურებისა და სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე, რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა ლიზინგის მიმღებების და მათი საქმიანობის სფეროს მახასიათებლები, მათი კრედიტუნარიანობა, ეკონომიკური პირობები და ტენდენციები, გადაცდომები და ძირითადი გირაოს და გარანტიების ღირებულება.

ვინაიდან საბუღალტრო სტანდარტების შესაბამისად მომავალი საკრედიტო რისკები გარკვეული პერიოდის განმავლობაში საჭიროებს არსებით განსჯასა და შეფასებას, კომპანიამ შესაძლოა სათანადოდ ვერ შეაფასოს მომავალი რისკები და ამდენად, რეზერვი შეიძლება არაადეკვატური იყოს ფაქტიური საკრედიტო დანაკარგების დასაფარავად. კომპანიის მიერ შექმნილი რეზერვი შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს, თუ საქართველოს ეკონომიკაში გაუთვალისწინებელი ან არასასურველი ცვლილებები მოხდება, ან თუ სხვა მოვლენები უარყოფითად იმოქმედებს კონკრეტულ ლიზინგის მიმღებზე, დარგზე ან ბაზარზე. ასეთ გარემოებებში კომპანიას შესაძლოა დამატებითი რეზერვი დასჭირდეს თავისი ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივებისთვის, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს კომპანიის მოგებას და

მატერიალურად და უარყოფითად იმოქმედებს მის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

### **საოპერაციო რისკები**

**კომპანიის რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემებს შესაძლოა ჰქონდეთ ნაკლოვანებები, რომლებმაც შეიძლება ეფექტიანად ვერ უზრუნველყონ კომპანიის საოპერაციო რისკების მისაღებ ღონეზე შენარჩუნება.**

ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც კომპანიის ბიზნესი განვითარდა და მოიცვა სხვადასხვა დარგი, მისი ბიზნესის მოდელი და რისკებისადმი მიდრეკილება უფრო კომპლექსური გახდა. კომპანია განუხრელად აუქობებს რისკების მართვის სისტემას, მაგრამ რისკების მართვისკენ მიმართულმა ზომებმა შესაძლოა ვერ გამოავლინოს და შეარბილოს ბიზნესის წინაშე არსებული ყველა არსებითი რისკი. ამიტომ, როდესაც კომპანია ახალ დარგში შედის, ახალ მომხმარებლებთან ამყარებს ურთიერთობას ან ახალ პროდუქტებს თუ სერვისებს ავითარებს, მან შესაძლოა ვერ მოახერხოს ყველა მომავალი რისკის ადეკვატურად იდენტიფიცირება და შეფასება, ვინაიდან რისკების მართვის და კონტროლის ზოგიერთ მის მეთოდს საფუძვლად უდევს ბიზნესის ისტორიული გამოცდილება, საბაზრო ქცევა და წარსულში მომხდარი მოვლენები, და ასეთი რისკები შეიძლება ბევრად უფრო დიდი იყოს, ვიდრე კომპანიის ვარაუდები ისტორიული მონაცემების საფუძველზე.

კომპანიის რისკების მართვის სხვა მეთოდები დამოკიდებულია ბაზრებთან, მომხმარებლებთან ან სხვა რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეფასებაზე და ეს ინფორმაცია შესაძლოა იყოს არაზუსტი, არასრული, მოძველებული ან არასწორად შეფასებული.

გარდა ამისა, კომპანიის ბიზნესის განვითარებასთან ერთად, მისი რისკების მართვის და შიდა კონტროლის პოლიტიკამ შესაძლოა ეფექტიანად ვერ შეამციროს ყველა ტიპის რისკი, მათ შორის მოულოდნელი რისკები და ის რისკები, რომელთა შესახებ კომპანიას არა აქვს ინფორმაცია და რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს უმოქმედო აქტივების კოეფიციენტის ზრდას. ამასთან, საოპერაციო, სამართლებრივ ან ფინანსურ რისკებზე რეაგირებისთვის კომპანიამ უნდა ჩამოაყალიბოს რიგი სხვადასხვა წესების და პროცედურებისა, რათა ზედმიწევნით დააფიქსიროს და შეამოწმოს ტრანზაქციებისა და მოვლენების დიდი რაოდენობა. ამგვარი წესები და პროცედურები შესაძლოა არ იყოს სრულად ეფექტიანი. ნებისმიერმა წარუმატებლობამ კომპანიის რისკების მართვის პროცედურების სათანადოდ განხორციელებაში ან შესაბამისი რისკების იდენტიფიცირებაში შესაძლოა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმიანობის შედეგებზე.

### **ბიზნეს ოპერაციები მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საინფორმაციო სისტემების ეფექტიან და უწყვეტ ფუნქციონირებაზე**

საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები მოწყვლადია რამდენიმე პრობლემის მიმართ, მათ შორის კომპიუტერული ვირუსების, არავტორიზებული წვდომის, სერვერის ფიზიკური დაზიანების და კომპიუტერული პროგრამის ან აპარატურის გაუმართაობის წინაშე. საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების ნებისმიერმა შეფერხებამ ან მათი უსაფრთხოების დარღვევამ შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ისეთ ბიზნესოპერაციებზე, როგორცაა მომხმარებლის დროული მომსახურება, ფინანსური მონაცემების სწორად აღრიცხვა და ბიზნესის და მომხმარებლის დაცვა ფინანსური თაღლითობის თუ ქურდობისგან. ბიზნესოპერაციების კომპრომეტირების შემთხვევაში, დაზარალებულ კომპანიის რეპუტაცია და შემცირდება კლიენტის ნდობა ბიზნესის მიმართ და კომპანიამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები განიცადოს, რაც სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

გარდა ამისა, არანაირი გარანტია არ არის, რომ ფინანსური თუ ტექნიკური შეზღუდვების გამო, კომპანია შეძლებს, ფეხი აუწყოს უახლეს ტექნოლოგიურ განვითარებას. თუ კომპანია ვერ შეძლებს წარმატებით განახორციელოს ან დაასრულოს კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების და ინფრასტრუქტურის დაგეგმილი განახლება ან/და ბიზნეს ოპერაციების და საპროგრამო უზრუნველყოფის ადაპტირება, ეს სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

- **კომპანიას აქვს სხვა საოპერაციო რისკები, რომლებიც მის ბიზნეს-საქმიანობასთან არის დაკავშირებული:** ერთ კლიენტზე დამოკიდებულების ხარისხი - 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პორტფელის 15.5% (31/12/2020: 13.0%) ხუთ კლიენტზეა კონცენტრირებული. კომპანიამ შეიძლება გააზრებულად ან გაუთვითცნობიერებლად (თუ არ იცის ლიზინგის მიმღებებს შორის არსებული კავშირების შესახებ) გასცეს აქტივები ლიზინგით ერთი და იმავე აქციონერის დაქვემდებარებაში არსებული კომპანიების ჯგუფებზე, რითიც კიდევ უფრო გაზარდოს კონცენტრაცია და შესაბამისად პორტფელის რისკიც.
- **სექტორზე დამოკიდებულების ხარისხი** - 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კორპორაციული პორტფელი შეადგენს მთლიანი პორტფელის 70%-ს და ძირითადად კონცენტრირებულია 2 წამყვან (მშენებლობა და მომსახურების სფერო) სექტორზე (ჯამში კორპორაციული პორტფელის 33% და 19%). ასევე იმ შემთხვევაში, თუ კიდევ უფრო გაიზრდება კონკრეტულ სექტორზე/სექტორებზე კონცენტრაციის ხარისხი მნიშვნელოვნად მოიმატებს პორტფელის რისკი, რადგან კომპანიის მომგებიანობა დამოკიდებული გახდება კონკრეტულ სექტორზე, ამ სექტორში წარმოქმნილი პრობლემები კი დიდწილად აისახება კომპანიაზე.
- **კლიენტის შესაბამისობა** - კლიენტებს ან მათ აქციონერებს შეიძლება ჰქონდეთ ცუდი საკრედიტო ისტორია, რომელიც მოიცავს ვადაგადაცილებულ გადასახადებსა და დაუფარავ ვალდებულებებს, რაც მათ კრედიტუნარიანობას მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ აყენებს.
- **აქტივების ფასების შეფასების საიმედოობა** - მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მუშაობს საიმედო მწარმოებლებთან, პორტფელის აქტივების გარკვეული ნაწილი, მეორადი აქტივებისგან შედგება; უფრო მეტიც, არსებობს შემთხვევები, როდესაც კლიენტს ნაკლებად ცნობილი მწარმოებლის აქტივი სჭირდება, რომელიც მას დაბალ ფასს სთავაზობს. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანი ხდება აქტივის ობიექტური/რეალისტური შეფასება - შეფასება კეთდება კომპანიის შემფასებელთა ჯგუფის მიერ (საოპერაციო მიზნებისთვის). ამ ჯგუფის მიერ დადგენილი ღირებულებები, შესაძლოა არ ემთხვეოდეს აქტივის სამართლიან ღირებულებას რამაც კომპანიას შესაძლოა მოუტანოს ზარალი. გარდა ამისა, კომპანია ჩამოწერილი აქტივების შეფასებას აკეთებს დამოუკიდებელი შემფასებლის მეშვეობით. აქტივების შეფასება ხდება როგორც ჩამოწერის მომენტში, ასევე ყოველი წლის ბოლოს. არსებობს რისკი იმისა, რომ აღნიშნული შეფასება შესაძლოა სრული სიზუსტით არ ასახავდეს აქტივების სამართლიან ღირებულებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საშემფასებლო საქმიანობა საქართველოში არ რეგულირდება (გარდა კომერციული ბანკებისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაწერილი რეგულაციის შესაბამისად).
- **გამყიდველის რისკი** - მიუხედავად იმისა, რომ კომპანია აქტივს ყიდულობს მხოლოდ მაღალი რეპუტაციის მქონე მომწოდებლებისგან, მაინც არსებობს რისკი, რომ გამყიდველმა შეიძლება მიიღოს წინასწარი გადახდა, მაგრამ არ გადასცეს აქტივი კომპანიას ან/და მიაწოდოს აქტივი, რომელიც არ აკმაყოფილებს შეთანხმებულ პარამეტრებს, რაც სრულად კომპანიის რისკია. კომპანიისთვის ეს რისკი შემოსაზღვრულია წინასწარ გადახდილი თანხით, რომელიც მომწოდებლების მიხედვით განსხვავებულია. კომპანიას თითოეულ მომწოდებელთან ურთიერთობა დარეგულირებული აქვს შესაბამისი კონტრაქტებით, თუმცა გარკვეული რისკი (მცირე მასშტაბებით) მაინც რჩება. ისტორიულად კომპანიას 2015 წელს დაახლოებით 635,000 ლარის ოდენობის ხარჯი აქვს აღიარებული (წინასწარ გადახდილი ხარჯების ჩამოწერა). თუმცა მენეჯმენტის ცვლილების შემდეგ, აღნიშნული მიმართულებითაც მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა რისკების მართვის კუთხით და 2016 ეს ხარჯი დაახლოებით 136,800 ლარამდე შემცირებული, 2019 წელს განხორციელდა 340,818 ლარის ოდენობის ხარჯად აღიარება. აღნიშნული ხარჯი დაკავშირებული იყო 2014 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებასთან). 2020 და 2021 წლებში კომპანიას მსგავსი ხარჯი არ ჰქონია. ამ გაუმჯობესების მიუხედავად, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომპანიას მომავალში მსგავსი ტიპის ხარჯები არ წარმოეშვება.
- **იურიდიული / საპროცესო რისკი** - კომპანიის თანამშრომლებმა შეიძლება შეცდომა დაუშვან ხელშეკრულების შედგენისას, აქტივების დაზღვევისას ან მომხმარებლისათვის აქტივის გადაცემისას სხვა საკითხებთან ერთად.
- **კლიენტის თაღლითობის რისკი** - კლიენტს შეუძლია გააყალოს ფინანსური უწყისები და არასწორი ინფორმაცია წარმოადგინოს კლიენტის ზომის, მასშტაბის და შესაძლებლობების შესახებ.

## **კომპანიის სადაზღვევო ანაზღაურება შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს, რომ დაფაროს პოტენციური ვალდებულებები ან დანაკარგები**

კომპანია, როგორც წესი, ლიზინგის მიმღებებისგან მოითხოვს, რომ ლიზინგის კონტრაქტების ფარგლებში აუნაზღაურონ და დააზღვიონ ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას შეიძლება წარმოექმნას სალიზინგო აქტივების გამოყენების და მათი უქსპლუატაციის, აგრეთვე ქონებისთვის მიყენებული ზიანის და დაკარგვის გამო. კომპანიის ლიზინგის მიმღებები ვალდებულები არიან, კომპანიის მოთხოვნის შესაბამისად შეიძინონ დაზღვევა სადაზღვევო კომპანიებისგან. სადაზღვევო პოლისი ლიზინგის კონტრაქტის იდენტური ვადიანობის უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტების გაფორმებისას კომპანიამ შესაძლოა შეზღუდოს სალიზინგო ქონების გამოყენება (მაგალითად, გეოგრაფიულად), რათა თავიდან იქნეს აცილებული მომავალი რისკები, არ არსებობს იმის გარანტია, რომ მომავალში კომპანიას არ შეეხება სალიზინგო აქტივებიდან გამომდინარე პრეტენზიები.

არ არსებობს არანაირი გარანტია იმისა, რომ ლიზინგის მიმღებების დაზღვევა და კომპანიის მიერ გაწეული რომელიმე პირობითი დაზღვევა ადეკვატური ან საკმარისი იქნება იმისათვის, რომ დაფაროს ყველა სახის პრეტენზია რომელიც შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ აღიძრას. ნებისმიერ სადაზღვევო დაფარვის დეფიციტს ან სადაზღვევო ვალდებულებების შეუსრულებლობას და ზარალის ანაზღაურებაზე უარს ლიზინგის მიმღებების მხრიდან შეუძლია შეამციროს კომპანიის შემოსავლები ზარალის შემთხვევაში და დაუზღვეველი ვალდებულებები წარმოექმნას კომპანიას, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და მის მიერ ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილების უნარზე.

## **კომპანიამ შესაძლოა ვერ აღმოაჩინოს ან თავიდან ვერ აიცილოს მისი თანამშრომლების ან მესამე პირების მიერ თაღლითობის ან სხვა არასათანადო საქციელის ჩადენა**

შესაძლებელია, რთული აღმოჩნდეს კომპანიის თანამშრომლების მიერ თაღლითობის (ან სხვა არასათანადო საქციელის, როგორც არის უნებართვო ბიზნესგარიგებები, მექრთამეობა და შიდა პოლიტიკისა და პროცედურების დარღვევა), ან მესამე პირების მიერ დარღვევების, როგორც არის კანონის დარღვევა, გამოვლენა ან თავიდან აცილება. ამან შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ზიანი კომპანიისთვის და ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მისთვის სანქციების დაკისრება. ამავე დროს, სერიოზულად დაზარალდება მისი რეპუტაცია. ამან ასევე შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს კომპანიის უნარზე, ეფექტიანად მოიზიდოს პოტენციური მომხმარებლები, მოიპოვოს მომხმარებელთა ლოიალობა, მიიღოს დაფინანსება ხელსაყრელი პირობებით, მონაწილეობა მიიღოს ტენდერებში და განახორციელოს სხვა ბიზნეს-საქმიანობა.

კომპანიის რისკების მართვის სისტემები, საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები და შიდა კონტროლის პროცედურები მიზნად ისახავს, მონიტორინგი გაუწიოს კომპანიის ოპერაციებს და ზოგადად მის შესაბამისობას მოქმედ კანონებსა და რეგულაციებთან. თუმცა კომპანიამ შესაძლოა დროულად ან საერთოდ ვერ მოახერხოს დარღვევების ან საეჭვო გარიგებების იდენტიფიცირება. გარდა ამისა, ყოველთვის არ არის შესაძლებელი თანამშრომლების ან მესამე პირების მიერ თაღლითობის ან სხვა არასათანადო საქციელის ჩადენის გამოვლენა და პრევენცია და ის გამაფრთხილებელი ზომები, რომლებსაც კომპანია ახორციელებს ამგვარი ქცევის თავიდან ასაცილებლად და გამოსავლენად, შესაძლოა არ აღმოჩნდეს ქმედითი. ამიტომ კომპანიის წინაშე დგას რისკი, რომ ადრე ჩადენილი ყოფილიყო, მაგრამ არ ყოფილიყო გამოვლენილი თაღლითობა ან სხვა არასათანადო საქციელი, ან რომ ასეთი რამ მომავალში მოხდეს. ამან შესაძლოა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.



## **სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებული და სხვა რისკები**

**კომპანიის წარმატება ბიზნესში დამოკიდებულია მის უნარზე, მოიზიდოს და შეინარჩუნოს უმაღლესი რგოლის მენეჯმენტი და საკვანძო თანამშრომლები.**

კომპანია საქმიანობას ეწევა სულ უფრო კონკურენტულ საბაზრო გარემოში, სადაც აუცილებელია მაღალი დონის სპეციალური ცოდნა სალიზინგო აქტივების ეფექტიანი მართვისათვის. კომპანიის წარმატება დამოკიდებულია მისი უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის გუნდის და საკვანძო თანამშრომლების განუხრელ მუშაობაზე. კომპანიის უმაღლესი რგოლის მენეჯმენტი გადამწყვეტ როლს ასრულებს მის ოპერაციებში. თითოეულ მათგანს აქვს საქართველოს ფინანსურ ან ლიზინგის ინდუსტრიაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და ისინი კოლექტიურად ფლობენ კომპანიის ბიზნესის ძირითადი მიმართულებების, მომხმარებლებისა და კონკურენტების, ასევე ბიზნესთან დაკავშირებული კანონების შესახებ საფუძვლიან ცოდნას. ამიტომ მათ არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ კომპანიის მიერ წარმატების მისაღწევად აუცილებელი სტრატეგიების ფორმულირებასა და განხორციელებაში. თუმცა უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის გუნდის წევრებმა და საკვანძო თანამშრომლებმა შეიძლება ნებაყოფლობით შეწყვიტონ კომპანიაში მუშაობა ან დატოვონ თავიანთი პოზიციები ისეთი მიზეზების გამო, რომლებიც სცილდება კომპანიის კონტროლის ფარგლებს. უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის გუნდიდან რომელიმე წევრის და რომელიმე საკვანძო თანამშრომლის მიერ სამსახურის დატოვებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს კომპანიის მოქმედების უნარს და დააბრკოლოს ბიზნესისა და ზრდის სტრატეგიების განხორციელებისკენ მიმართული მისი ძალისხმევა. კომპანიამ გონივრულ ვადაში შესაძლოა ვერ მოახერხოს მათი ჩანაცვლება ეკვივალენტური ცოდნისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლებით.

კომპანიის საქმიანობის წარმატება ასევე დამოკიდებულია მის უნარზე, მოიზიდოს და შეინარჩუნოს კვალიფიციური თანამშრომლები მისი ოპერაციების საწარმოებლად. მას ასევე შეიძლება დასჭირდეს მაღალი ანაზღაურების და სხვა სარგოების შეთავაზება საკვანძო თანამშრომლების მოსაზიდად და შესანარჩუნებლად და ანაზღაურება და სარგოები შესაძლოა არაპროგნოზირებადი სახით ან იმაზე უფრო მაღალი ტემპით გაიზარდოს, ვიდრე კომპანიის შემოსავლები. ამას ასევე შეუძლია არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

**არ არსებობს იმის გარანტია, რომ მაკონტროლებელი აქციონერი კვლავაც გააგრძელებს კომპანიის მხარდაჭერას, ხოლო კომპანიის კონტროლის ცვლილებამ კი შეიძლება არსებითი ხასიათის უარყოფითი გავლენა მოახდინოს ლიზინგის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე**

კომპანია ბევრ ასპექტში იღებს მისი 100%-იანი წილის მფლობელის, სს საქართველოს ბანკის მხარდაჭერას.

კომპანია ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოს ბანკთან თანამშრომლობით, რომელსაც მომხმარებელთა ფართო წრე და ძლიერი მარკეტინგული რესურსი აქვს. კომპანიის საკრედიტო პოზიციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს „საქართველოს ბანკი“. ეს ხელს უწყობს კომპანიის დაფინანსების ხარჯების შემცირებას, დაფინანსების არხების გაფართოებას და განამტკიცებს მის პოზიციას სხვადასხვა გარიგების დადების დროს.

თუ „საქართველოს ბანკი“ მხარდაჭერა კომპანიის მიმართ შეიცვლება, ამან შესაძლოა კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს.

**თუ კომპანია ვერ შეინარჩუნებს სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდას, ეს არსებით და უარყოფით გავლენას მოახდენს მის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე**

კომპანიის შემოსავლები ფინანსური ლიზინგიდან წარმოადგენს საპროცენტო შემოსავლებს ფინანსური ლიზინგისა და უკულიზინგის საქმიანობიდან. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ლიზინგის პორტფელი (დებიტორული დავალიანება) შესაბამისად 75,044 და 106,752 ათას ლარს შეადგენდა. სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდაზე/კლებაზე შეიძლება საქართველოს ეკონომიკურმა პირობებმა ან სხვა მაკროეკონომიკურმა ფაქტორებმა იმოქმედონ, მაგალითად, მშპ-ს ზრდამ/კლებამ, ინფლაციის დონისა და საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ, ისევე როგორც, სალიზინგო კანონმდებლობისა თუ სამთავრობო რეგულაციების ცვლილებებმა. 2020 წელს დაწყებულმა

პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა კომპანიის პორტფელზე. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომპანია შეძლებს სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდას მომავალში.

### **დარგები, რომლებშიც კომპანია მონაწილეობს, სულ უფრო კონკურენტული ხდება**

ლიზინგის ინდუსტრია სწრაფად ვითარდება და სულ უფრო კონკურენტული ხდება. მართალია, საქართველოს ლიზინგის ინდუსტრიას განვითარების ჯერ კიდევ დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომპანია შეძლებს შეინარჩუნოს არსებული პოზიციები სულ უფრო ინტენსიური კონკურენციის ფონზე. კომპანიის ზოგიერთ კონკურენტს შესაძლოა ჰქონდეს მეტი ფინანსური და მმართველობითი რესურსები, ვიდრე კომპანიას, ასევე მომხმარებელთა ქსელები და ურთიერთობები, უფრო დაბალი ფინანსური ხარჯები და რისკებისადმი უფრო მაღალი ტოლერანტობა ან რისკების შეფასების იმგვარი განსხვავებული მეთოდები, რომ მათ შეძლონ განიხილონ ან ხელი მიუწვდეთ უფრო მრავალფეროვან ინვესტიციებზე, დაამყარონ მეტი ურთიერთობები და უფრო აქტიურად გააკეთონ ფასების შეთავაზება გასაყიდი აქტივებისათვის. გარდა ამისა, კომპანიის ზოგიერთმა კონკურენტმა შესაძლოა პერსპექტიული ლიზინგის მიმღებებს შესთავაზონ უკეთესი პირობები, ვიდრე კომპანიამ.

კომპანიის საქმიანობა უმთავრესად მოიცავს მშენებლობის, წარმოების და მომსახურების სხვადასხვა ქვესექტორებს. ეს საქმიანობა შესაძლოა შესაბამისი დარგების ეკონომიკური განვითარების ციკლების გავლენის ქვეშ მოექცეს სხვადასხვა ხარისხით. იმ ცვლილებების ტიპი, დრო და ხარისხი, რომლებიც ამა თუ იმ დარგისთვის ჩვეულ პირობებში შეიძლება მოხდეს, უმეტესწილად არაპროგნოზირებადია. იმ შემთხვევაში, თუ დარგში ჩავარდნა მოხდა, არახელსაყრელმა ეკონომიკურმა და საბაზრო პირობებმა შეიძლება შეამციროს მოთხოვნა სალიზინგო მომსახურებაზე, ხოლო კლიენტებში დეფოლტის ზრდა და სალიზინგო აქტივების ხარისხის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

კომპანია ასევე კონკურენციას უწევს მსხვილ კომერციულ ბანკებსა და ფინანსური მომსახურების სხვა პროვაიდერებს საქართველოში. ამ დაწესებულებებმა კომპანიის არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს დაფინანსება შესაძლოა უფრო ხელსაყრელი პირობებით მისცენ. გარდა ამისა, კონკურენტული პირობები შეიძლება შესთავაზონ კონკრეტული სახის ლიზინგის პროდუქტებზე ამ აქტივების დისტრიბუტორებმა/დილერებმაც.

### **კომპანიაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საკონტრაქტო მოთხოვნებს, საჩივრებს, სასამართლო განხილვას და ნეგატიურ საჯარო ინფორმაციას.**

კომპანიაზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საკონტრაქტო მოთხოვნებმა, საჩივრებმა და სასამართლო პროცესმა, რომლებიც პარტნიორებთან, მომხმარებლებთან, კონკურენტებსა თუ მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობებიდან გამომდინარეობს, ასევე ნეგატიურმა საჯარო ინფორმაციამ კომპანიის შესახებ. ნებისმიერმა ასეთმა სასამართლო პროცესმა, საჩივარმა, საკონტრაქტო მოთხოვნამ ან ნეგატიურმა საჯარო ინფორმაციამ შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

სასამართლო პროცესის მოპასუხეობა, წარმატებითაც რომ დასრულდეს, დიდ დროსა და ყურადღებას მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტისგან, ასევე, საკმაოდ დიდ თანხებს იურიდიული მოსაკრებლების და სხვა თანმდევი ხარჯებისთვის. ბიზნესზე ვრცელდება მარეგულირებელი საქმისწარმოებაც და კომპანიამ შეიძლება მარეგულირებელ საქმისწარმოებაში მოქმედი კანონების, წესებისა და რეგულაციების ინტერპრეტაციამ დააზარალოს, მათ შორის იმ მარეგულირებელ საქმისწარმოებაში, რომლის მხარეც ის არ არის. ნებისმიერმა ასეთმა მოვლენამ შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

### **გაფიცვებმა და სხვა აქციებმა შეიძლება შეაფერხოს კომპანიის ფუნქციონირება ან გააძვიროს კომპანიის ობიექტების ოპერირება**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას 66 სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი ყავდა. ამ რაოდენობის ან ხელფასის ნებისმიერი შემცირება სამუშაოს შეფერხებას გამოიწვევს. სამუშაოს შეფერხება ან საოპერაციო პერსონალის მოზიდვასა ან შენარჩუნებაში წარუმატებლობა სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე.

კომპანიას დღემდე არ ჰქონია შემთხვევა, რომელიც საქართველოს კანონის და შრომის კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად ჩაითვლებოდა გაფიცვად, სასამართლო პროცესად ან საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების ნებაყოფლობით უარყოფად.

**ემიტენტის დედა კომპანია სს საქართველოს ბანკის ჯგუფის აქციები სავაჭროდ დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე (LON: BGEO), რაც შესაბამისად გარკვეულ შეზღუდვებსა და მოთხოვნებთან არის დაკავშირებული**

ემიტენტის დედა კომპანია „სს საქართველოს ბანკის ჯგუფის“ აქციები სავაჭროდ დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე, რაც გარკვეულ შეზღუდვებსა და მოთხოვნებთან არის დაკავშირებული. არსებობს რისკი, რომ მშობელმა კომპანიამ ვერ მოახერხოს ზემოთაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც რეპუტაციულ რისკს შეუქმნის მას და შესაძლოა უარყოფითად აისახოს ემიტენტზე, როგორც მის შვილობილზე. ასევე, არსებობს რისკი, რომ ჯგუფზე დაწესებულმა შეზღუდვებმა ბირჟისა თუ ინვესტორების მიერ (მაგ: დათქმები სესხებზე, სხვადასხვა პოლიტიკასთან შესაბამისობა (compliance)) გავლენა იქონიოს ემიტენტზე და მის მაჩვენებლებსა თუ გეგმებზე. **მსოფლიოში მიმდინარე საომარმა ვითარებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს კომპანიის საოპერაციო პროცესებს და შეაფერხოს კომპანიის ფუნქციონირება.**

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ გამოაცხადა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, მათ შორის რუსული ბანკებზე, სხვა სუბიექტებსა და ფიზიკური პირებზე. ომის დაწყებიდან მოყოლებული, ადგილი ჰქონდა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურებას უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ისევე როგორც ღირებულების მნიშვნელოვანი ვარდნას რუსეთის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომი უარყოფითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია საიმედოდ შეაფასო რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამას კომპანიის ბიზნესზე. კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

1.3. ფინანსური მდგომარეობა

**საოპერაციო შედეგების განხილვა:**

კომპანია ძირითად შემოსავალს ფინანსური იჯარიდან იღებს. 2021 წელს წინა წელთან შედარებით, ეს შემოსავალი 26%-ით შემცირდა ეს მნიშვნელოვანი კლება ძირითადად გამოწვეულია პანდემიისა და თანმხლები რეცესიის გამო შემცირებული პორტფელით. 2020 წლის 31 დეკემბერთან შედარებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პორტფელი 29.7%-ით არის შემცირებული.

მოგება-ზარალის ანგარიშგება, ათასი ლარი	2021 აუდირებული	2020 აუდირებული
<b>საპროცენტო შემოსავალი</b>		
შემოსავალი ფინანსური იჯარიდან	24,699	33,188
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,205	1,122
<b>საპროცენტო ხარჯი</b>		
საპროცენტო ხარჯი გამოყენების უფლებით ფლობილ ვალდებულებებზე	(56)	(54)
სასესხო დავალიანება	(7,262)	(7,932)
გამოშვებული ობლიგაციები	(5,869)	(6,067)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	12,716	20,258
<i>წმინდა საპროცენტო მარჟა</i>	49.1%	59.0%
გაუფასურების რეზერვის ხარჯი გაცემულ სესხებზე	(2,433)	(6,959)
გაუფასურების რეზერვის ხარჯი სხვა აქტივებზე		31
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯის შემდეგ</b>	21,727	13,330
<i>წმინდა საპროცენტო მარჟა ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურების ხარჯის შემდეგ</i>	39.7%	38.9%
<b>სხვა საოპერაციო შემოსავალი</b>		
შემოსავალი ჯარიმებიდან	2,981	3,379
სხვა საოპერაციო შემოსავალი	10,506	1,257
წმინდა შემოსავალი (ზარალი) ვალუტის კონვერტაციიდან	(2,042)	(4,265)
<b>სულ საოპერაციო შემოსავალი</b>	21,727	13,701
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(9,842)	(11,816)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(2,930)	(2,617)
ლიზინგით გაცემის მიზნებისთვის ფლობილი აქტივების ჩამოწერა	(9,129)	(3,257)
<b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>	(21,901)	(17,690)
<b>მოგება დაბეგრამდე</b>	(173)	(3,989)
<i>მოგების მარჟა დაბეგრამდე</i>	-0.7%	-11.6%
მოგების გადასახადი	(1)	(8)
<b>წმინდა მოგება</b>	(174)	(3,997)
<i>წმინდა მოგების მარჟა</i>	-0.7%	-11.6%

კომპანიის უეჭუტური საპროცენტო განაკვეთები გაცემულ ლიზინგებზე ვალუტების მიხედვით შემდეგია:

	2021	2020
ლარი	34.97%	37.75%
აშშდ	28.58%	22.10%
ევრო	18.43%	16.20%

კომპანიის დაფინანსების წყაროები საბანკო სესხები და საჯაროდ გამოშვებული ობლიგაციებია. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი პროცენტული ვალდებულებების 27.6%-ს ადგილობრივი ბანკებიდან მოზიდული სესხები წარმოადგენდა, 11.9%-ს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდული სახსრები, ხოლო დანარჩენ 60.5%-ს გამოშვებული ობლიგაციები. საპროცენტო ხარჯი ამ ვალდებულებებზე 6%-ით შემცირდა 2020 წელთან შედარებით, თუმცა დაფინანსების საშუალო განაკვეთები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. აღნიშნული კლება გამოწვეულია პროცენტული ვალდებულებების შემცირებით.

ფინანსურ ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთები სხვადასხვა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

	2021	2020
ლარი	12,0%	11.14%
აშშდ	6,6%	7.21%
ევრო	4,8%	-

კომპანია მუდმივად ცდილობს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას.

**გაუფასურების რეზერვის ხარჯმა** 2021 წელს შეადგინა 2,433 ათასი ლარი, 2020 წელს კი იგივე ხარჯი შეადგინდა 6,959 ათას ლარს. 2020 წელი განსაკუთრებულად მაღალი დარეზერვების ხარჯით გამოირჩეოდა, რაც გამოწვეული იყო 2020 წლის COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობითა და შექმნილი ეკონომიკური პრობლემებით. შეწყვეტილი ეკონომიკური საქმიანობებიდან გამომდინარე, კომპანიამ მოახდინა კლიენტების სესხების რესტრუქტურისა. გარდა ამისა, გაუარესებული ეკონომიკური პროგნოზებისა და მოლოდინების გამო კომპანიამ გაზარდა რეზერვების კოეფიციენტი. მიუხედავად კომპანიის მიერ 2021 წელს დარეზერვების პოლიტიკის კიდევ უფრო გამკაცრებისა, რეზერვის ხარჯის 65%-იან კლება დაფიქსირდა, რაც უკავშირდება, ერთი მხრივ, კომპანიის ფინანსური ლიზინგის პორტფელის შემცირებას, მეორე მხრივ, კოვიდ ვითარებით გამოწვეულ ნაკლებ შეზღუდვებს და 2020 წელთან შედარებით აღდგენილ ეკონომიკურ აქტივობას.

სხვა საოპერაციო შემოსავლის მნიშვნელოვანი პუნქტია **შემოსავალი ჯარიმებიდან, რომელიც ელ წინა წელთან შედარებით 12%-ით შემცირდა. შესადარის პერიოდში ჯარიმებიდან გაზრდილი შემოსავალი უკავშირდებოდა პანდემიის გამო ვადაგადაცილებების ზღრას.**

**სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები** წინა წელთან შედარებით 11,5%-ით შემცირდა. **თანამშრომელთა ხელფასები** (ბონუსების ხარჯის გათვალისწინების გარეშე) კი 3,2%-ით შემცირდა და 678 ათასი ლარი შეადგინა. ეს შემცირება გამოწვეულია თანამშრომელთა რაოდენობის კლებით (2021 წლის დასაწყისში კომპანიას 77 თანამშრომელი ჰყავდა, 2021 წლის ბოლოს კი 66). თანამშრომელთა ბონუსები 12%-ით არის გაზრდილი. 2020 წელს ბონუსები შემცირებული იყო უმეტესად პანდემიის ფონზე კომპანიის პერფორმანსით.

ამ ხარჯების დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია ქვემოთ:

000 ლარი	2021	2020
ხელფასი	1,942	2,007
ბონუსი	988	609
დაზღვევის ხარჯი	5,694	6,784
ქონების გადასახადი	1,518	1,934
მარკეტინგის ხარჯები	174	326
პროფესიული ხარჯები	740	878
ქირა	413	368
სხვა ხარჯები	1,303	1,527
<b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>	<b>12,772</b>	<b>14,433</b>

**სადაზღვევო ხარჯები** მთლიანი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების 45% იყო და წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 16%-ით შემცირდა. ეს ხარჯები ძირითადად დაკავშირებულია პორტფელთან და პორტფელის შემცირების შესაბამისად არის შემცირებული. ზოგადად, სადაზღვევო ხარჯი გარკვეულწილად მერყეობს კონკრეტული სალიზინგო აქტივის პოტენციური მფლობელის მიხედვით.

**ქონების გადასახადი** მთლიანი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების 12% იყო. ეს ხარჯი შედგება ქონების გადასახადისგან, რომელიც იანგარიშება, როგორც ყველა გალიზინგებული აქტივის საწყისი ღირებულების 0.6%. ამ ხარჯის შემცირება პირდაპირ დაკავშირებულია სალიზინგო პორტფელის შემცირებასთან.

**მარკეტინგის ხარჯები** თითქმის 2-ჯერ არის შემცირებული, რაც გამოწვეულია პანდემიის პირობებში არსებული ფრთხილი საინვესტიციო პოლიტიკით და მაღალი ლიკვიდობის შენარჩუნების სტრატეგიით.

ამ მუხლში შემავალი სხვა ხარჯები მნიშვნელოვნად არ გაზრდილა და არც ინდივიდუალურად არის მატერიალური.

**ინფორმაცია კაპიტალისა და სასესხო ვალდებულებების შესახებ**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით **მთლიანი პროცენტის ვალდებულებები** 132,344 ათასი ლარი იყო და მთლიანი აქტივების 83%-ს შეადგენდა. მთლიანი პროცენტის ვალდებულებების 28% შედგებოდა ადგილობრივი ბანკებიდან მოზიდული სესხებიდან, 12% საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდული სესხებიდან, ხოლო 60% კი **გამოშვებული ობლიგაციებიდან**.

მსესხებლის დასახელება	ვალუტა	დარჩენილი		დარიცხული პროცენტი
		ვადა	ძირი	
ბანკი 1	ლარი	1 წელი	3,223	5.48
ბანკი 2	ლარი	1 წელი	11,466	31.76
ბანკი 3	ლარი	1 წელი	11,870	35.77
ბანკი 4	ლარი	წელი	9,815	79.79
სფი	აშშ დოლარი	1-2 წელი	15,760	-
ობლიგაციები	აშშ დოლარი	1-2 წელი	31,621	-
ობლიგაციები	აშშ დოლარი	1-2 წელი	37,808	-
ობლიგაციები	ევრო	1-2 წელი	10,628	-
<b>სულ პროცენტის ვალდებულებები</b>			<b>132,191</b>	<b>153</b>

2018 წლის ივნისში კომპანიამ გამოუშვა 5 მილიონი აშშ დოლარის (ISIN GE2700603659) ღირებულების საჯარო ობლიგაციები, ფიქსირებული კუპონის 6.5% წლიური განაკვეთით, დაფარვის ვადით 2021 წლის 22 ივნისს, თუმცა ამ ობლიგაციების სრული განთავსება არ მომხდარა და ჯამურად 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით განთავსებული იყო 4,933 ცალი, 4.93 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ობლიგაციები. პროსპექტის შედგენის თარიღისთვის გამოსყიდული იყო 38 ცალი ობლიგაცია და დარჩენილია 4,895 ცალი, ანუ 4,89 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ობლიგაციები. ობლიგაციები წარმოადგენენ არაუზრუნველყოფილ, არასუბორდინირებულ ვალდებულებას. ობლიგაციების ნომინალური ღირებულება - 1,000 აშშ დოლარი.

2019 წლის აგვისტოს კომპანიამ გამოუშვა 10 მილიონი აშშ დოლარის (ISIN GE 2700603840) ღირებულების საჯარო ობლიგაციები, ფიქსირებული კუპონის 7.5% წლიური განაკვეთით, დაფარვის ვადით 2021 წლის 9 აგვისტო.

2020 წლის 31 აგვისტოს კომპანიამ გამოუშვა და სრულად განათავსა 10 მილიონი აშშ დოლარის (ISIN GE2700603949) ღირებულების ობლიგაციები, რომელთაც ფიქსირებული 7.5% კუპონის განაკვეთი აქვთ, დაფარვის ვადა კი 2022 წლის 31 აგვისტოა.

2021 წლის 12 ივლისს კომპანიამ გამოუშვა და სრულად განათავსა 12 მილიონი აშშ დოლარის (ISIN GE2700604038) და 3 მილიონი ევროს (ISIN GE2700604020) ღირებულების ობლიგაციები, რომელთაც ფიქსირებული 5,75% და 4,75% კუპონის განაკვეთი აქვთ შესაბამისად, დაფარვის ვადა კი 2023 წლის 12 ივლისია.

2022 წლის 28 თებერვალს კომპანიამ გამოიყენა გამოსყიდვის ოფცია და სრულად დაფარა 2020 წლის 31 აგვისტოს გამოშვებული 10 მილიონი აშშ დირებულების ობლიგაცია.

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ მოახდინა ჯამურად 41,624 ათასი ლარის სესხების როლოვერი.

### ფინანსური კოვენანტების მიმოხილვა

კომპანიას სხვადასხვა ბანკიდან აღებულ სესხებზე სხვადასხვა ტიპის კოვენანტები აქვს. ძირითადი/ყველაზე მკაცრი კოვენანტები (არასრული/მენეჯმენტის მიერ შერჩეული) და შესაბამისი მაჩვენებლები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

	კოვენანტის ტიპი	ფაქტობრივი	ლიმიტი	აკმაყოფილებს კი/არა
1	PAR30	2.9%	Max 10.00%	კი
2	PAR90	0.3%	Max 5.00%	კი
3	რეზერვების პორთფელთან ფარდობის კოეფიციენტი რესტრუქტურისებული პორთფელის წმინდა სალიზინგო	4.0%	Max 3%	არა
4	პორთფელთან თანაფარდობა	33.1%	Max 60%	კი
5	რესტრუქტურისებული პორთფელით კორექტირებული PAR90 რისკიანი პორთფელის დაურეზერვებული ნაწილის კაპიტალთან	33.3%	Max 12.5%	არა
6	თანაფარდობის კოეფიციენტი (UCR)	112.8%	Max 65%	არა
7	უკუგება კაპიტალზე (ROA)	-0.2%	Max 0.5%	არა
8	ვადიანობის შესაფერისობის კოეფიციენტი	-332.4%	Max 100.00%	კი
9	ლევერიჯი	6.5	Max 9.00% Min -50.00%	კი
10	ღია სავალუტო პოზიცია	7.3%	Max 50.00%	კი
11	კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	33.4%	Min 15.00%	კი

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ დაარღვია რეზერვების პორთფელთან ფარდობის კოეფიციენტი, რესტრუქტურისებული პორთფელით კორექტირებული PAR90, UCR და კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტების კოვენანტები.

რეზერვების პორთფელთან ფარდობის და კაპიტალზე უკუგების (ROA) კოეფიციენტების კოვენანტების დარღვევა გამკაცრებული დარეზერვების პოლიტიკის შედეგია. კომპანიას აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით მოპოვებული აქვს გათავისუფლების წერილი კრედიტორებისგან. რესტრუქტურისებული პორთფელით კორექტირებული PAR90-ის და UCR კოვენანტების დარღვევა გამოწვეულია COVID 19 პანდემიის შედეგად გამოცხადებული მორატორიუმის შედეგად გაზრდილი რესტრუქტურისებული პორთფელის მოცულობით. კომპანიას აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით მოპოვებული აქვს გათავისუფლების წერილი კრედიტორებისგან.

### კომპანიის კაპიტალი

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, **კომპანიის საწესდებო და დამატებით შეტანილი** კაპიტალი შეადგენდა 18,551 ათასსა და 18,527 ათას ლარს, შესაბამისად.

2020 წლის 31 დეკემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით **დივიდენდები** კომპანიას არ გამოუცხადებია და არ გაუცია და ამ პერიოდში მთლიანი კაპიტალი 0.7%-ით შემცირდა 2021 წელს დაგეგმილი ზარალის გამო და 20,365 ათას ლარი შეადგინა.

#### 1.4. სამომავლო სტრატეგია და მიზნები

კომპანიამ 2015 წლიდან მკვეთრად შეცვალა მოქმედი განვითარების სტრატეგია და ამჟამად ძალიან ზუსტი მიზნები და მიმართულებები აქვს.

კომპანიამ წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებისა და ბაზარზე არსებული ტენდენციების შესწავლის საფუძველზე მოახდინა არსებული სტრატეგიის შემუშავება. ახალი ბიზნეს მოდელი შედარებით მოქნილი და დახვეწილია აქტივის სამართლიანი ღირებულების დადგენის, სანდო მომწოდებლის სწორად შერჩევის, არაკეთილსინდისიერი გადამხდელების დროული/სწორი იდენტიფიკაციის, საექვო მოთხოვნების ადეკვატური რეზერვების შექმნის და სხვა რისკების სათანადოდ მართვის კუთხით.

აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად კომპანიამ განახორციელა მთელი რიგი ცვლილებები: გადავიდა ახალ, უფრო მეტად სწრაფ და მოქნილ მიდგომაზე რისკების მენეჯმენტის კუთხით, მნიშვნელოვნად გააძლიერა სალიზინგო აქტივების მართვისა და შეფასების გუნდი და შემდგომი მონიტორინგის სამსახური. ამასთან, კომპანიამ აქცენტი გააკეთა პორტფელის დივერსიფიკაციაზე და გაზარდა მომხმარებლების სპექტრი სრულიად ახალ სეგმენტზე გათვლილი პროდუქტების შეთავაზების მეშვეობით.

ამჟამად კომპანიის პორტფელი მოიცავს როგორც ბიზნესის, ისე საცალო მიმართულების სექტორებს. კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის კომპანია მიზნად ისახავს დახვეწოს და დააჩქაროს სხვადასხვა პროცესები. მან შეცვალა დამტკიცების (და რისკების შეფასების) პროცედურა და გადავიდა უფრო სწრაფ და ზუსტ მიდგომაზე - აქტივზე დაფუძნებულ დაფინანსებაზე. აღნიშნული მიდგომის თანმდევი რისკების მინიმიზაციის მიზნით კომპანიამ ჩამოაყალიბა აქტივების მართვის ძალიან ძლიერი გუნდი, რაც უზრუნველყოფს აქტივების უკეთეს თავდაპირველ შეფასებას, გაუმჯობესებულ მონიტორინგს და სწრაფი რეაგირების პროცესს დეფოლტის შემთხვევაში. შედეგად, კომპანიის მომსახურება გახდა უფრო სწრაფი და მოქნილი, რაც ბოლო პერიოდში უკვე აისახა კომპანიის პორტფელის ზრდის ტემპზე. რისკების მართვის გაუმჯობესებულმა პროცედურებმა კი კომპანია უფრო მომგებიანი გახადა.

კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სინერგიებს და მიზნად ისახავს ამ გზით კლიენტებს საუკეთესო პირობები შესთავაზოს. ამის მაგალითები უკვე არის კომპანიაში, რამაც წლების მანძილზე დაადასტურა მსგავსი მიდგომის ეფექტურობა, კონკურენტული უპირატესობა და სტაბილურობა.

კომპანია განვითარების იმ ეტაპზეა, როდესაც ზუსტად ხედავს, რამდენად მნიშვნელოვანია სტაბილური გრძელვადიანი განვითარებისთვის პროცესების კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესება, ციფრული არხების კიდევ უფრო განვითარება, თანამედროვე მიდგომების დანერგვა, თანამშრომლების განვითარებაზე ზრუნვა და კლიენტებისათვის და მომწოდებლებისათვის კიდევ უფრო მყარ და სანდო პარტნიორად ჩამოყალიბება. კომპანია იაზრებს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად წარმატებული შედეგებისა აღნიშნული მიმართულებებით განვითარება მუდმივი პროცესია, რადგან კიდევ უფრო მაღალი სტანდარტების მოთხოვნილებები უყალიბდება მას როგორც მზარდ, ცოცხალ ორგანიზმს. ამავდროულად გასულ წლის მოვლენებმა კომპანიას დაანახა რამდენად მნიშვნელოვანია მოულოდნელი საფრთხეებისთვისაც მუდმივი მზადყოფნა, ამით 2020-2021 წელი კომპანიისთვის, ისევე როგორც მთელი მსოფლიოსთვის, კარგი გაკვეთილი აღმოჩნდა.



## 2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

### 2.1. მმართველი ორგანო და მენეჯმენტი

კომპანიის კორპორაციული მართვის მართვის უმაღლესი რგოლია პარტნიორი და პარტნიორების საერთო კრება ("საერთო კრება"), ხოლო კომპანიის საქმიანობაზე ზედამხედველობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომელიც აირჩევა პარტნიორის მიერ კომპანიის წესდების დებულებების შესაბამისად. კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული გენერალური დირექტორის („მთავარი აღმასრულებელი თანამდებობის პირი“) მიერ, რომელსაც ენიჭება კომპანიის ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად წარმომადგენლობის უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია აუდიტის კომიტეტი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

ზურაბ ქოქოსაძე (პ/ნ 62001032255) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი / თავმჯდომარე

გიორგი ჭილაძე (პ/ნ 01008008277) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ნიკოლოზ ალავიძე (პ/ნ 59001000119) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (დამოუკიდებელი პირი)

ლევან ყულიჯანიშვილი (პ/ნ 03001000435) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

### საერთო კრება

საერთო კრება არის კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო და უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების ("წესდება") თანახმად მიიღოს გადაწყვეტილებები მათ შორის, შემდეგ საკითხებზე:

- ცვლილებები წესდებაში;
- სააქციო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება;
- კომპანიის შერწყმა, გაყოფა ან გარდაქმნა სხვა იურიდიულ პირად, ლიკვიდაცია;
- კომპანიის ქონების, რომელიც არ წარმოადგენს საზოგადოების მიერ ლიზინგით ლიზინგის გამცემზე გადასაცემ საგანს, შეძენა, გასხვისება ან სხვაგვარი განკარგვა (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების დადება), რომლის ღირებულება აღემატება 1,000,000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარს;
- სხვა საწარმოს წილის/აქციების შეძენა და გასხვისება, თუკი ამგვარი წილის/აქციების მოცულობა აღემატება ამგვარი საწარმოს კაპიტალის 50%-ს ან გარიგების ღირებულება აღემატება 1,000,000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარს;
- ვალდებულებათა აღება და უზრუნველყოფა (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების დადება), რომელთა ღირებულება აღემატება 1,000,000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარს;
- კომპანიის მიერ ქონების და ქონებრივი უფლებების შეძენა, გასხვისება, გაცვლა (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებები) ან დატვირთვა, რომელთა ღირებულება აღემატება კომპანიის აქტივების 10%-ს;
- და
- სხვა საკითხები, რომლებიც შედის კანონის და წესდების საერთო კრების კომპეტენციაში.

წესდების თანახმად, საერთო კრება მოწვეული უნდა იქნეს საჭიროების შემთხვევაში. პარტნიორებს, რომელთა წილი ერთად შეადგენს საწესდებო კაპიტალის ხუთ პროცენტს, შეუძლიათ მოსთხოვონ გენერალურ დირექტორს საერთო კრების მოწვევა (ამჟამად ერთი პარტნიორი - სს „საქართველოს ბანკი“ ფლობს საკუთრების 100%-იან წილს). გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს პარტნიორს გადაწყვეტილების მისაღებად. გენერალურმა დირექტორმა ასევე დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს საერთო კრება ან მიმართოს პარტნიორს გადაწყვეტილების მისაღებად, თუ ეს კომპანიის ინტერესებშია ან თუ მოსალოდნელია, რომ კომპანიამ შეიძლება კაპიტალის ნახევარი დაკარგოს.

საერთო კრება უფლებამოსილია ითვლება, თუ მას ესწრებიან პარტნიორები, რომელთა წილი 50%-ს აღემატება. საერთო კრების გადაწყვეტილებები მიიღება უბრალო უმრავლესობით, გარდა წესდების ნებისმიერი ცვლილების დამტკიცებისა, რასაც საერთო კრების მონაწილეთა ხმების მინიმუმ 2/3 სჭირდება. წესდების თანახმად, საერთო კრებამ კომპანიის ყველა პარტნიორის მონაწილეობით უნდა

დაამტკიცოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომლის მნიშვნელობაც სცილდება კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივ მიმდინარეობას.

### **სამეთვალყურეო საბჭო:**

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ 3 (სამი) წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინიშნებიან და გამოიწვევიან პარტნიორის მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა 4 (ოთხი) წლის ვადით, თუმცა, მისი უფლებამოსილება გაგრძელდება ვადის გასვლის შემდგომ პარტნიორის მიერ ახალი წევრის დანიშვნამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე ნებისმიერ დროს. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს პარტნიორისთვის 30 (ოცდაათი) დღით ადრე წარდგენილი წერილობითი მიმართვის საფუძველზე. წევრის გაწვევიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვისა, უნდა არჩეული იქნას სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად არ შეიძლება იყოს „საზოგადოების“ გენერალური დირექტორი.

2020 წლის 5 აგვისტოდან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა ზურაბ ქოქოსაძე. ამ დრომდე აღნიშნულ პოზიციას იკავებდა გიორგი ფაილოძე, რომელიც ამავდროულად საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე არის დაგროვილი ქონების მართვისა და საინვესტიციო საბანკო საქმიანობაში. ზურაბ ქოქოსაძეს ფინანსურ სექტორში მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება აქვს. ის საქართველოს ბანკს 2003 წელს კორპორაციული საბანკო მიმართულების სტაჟორად შემოუერთდა. მას შემდეგ ბანკში მისმა კარიერულმა განვითარებამ არაერთი მნიშვნელოვანი საფეხური მოიცვა: ის იყო უფროსი კორპორატიული ბანკირი (2006-2009); FMCG სექტორის უფროსი (2009-2016); კორპორაციული საბანკო მომსახურების მიმართულების დირექტორის მოადგილე (2016-2017) და კორპორაციული საბანკო მომსახურების მიმართულების ხელმძღვანელი, უშუალოდ გენერალური დირექტორის მოადგილის ხელმძღვანელობის ქვეშ (2017-2020).

ზურაბ ქოქოსაძეს ბაკალავრის ხარისხი კავკასიის ბიზნეს სკოლაში აქვს მიღებული. ასევე, ფლობს მაგისტრის ხარისხს და არის გრენობლის ბიზნესის სკოლის კურსდამთავრებული.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. შეტყობინება/მოწვევა უნდა გაიგზავნოს წერილობით, სავარაუდო დღის წესრიგთან ერთად სულ მცირე 8 (რვა) დღით ადრე სხდომის მოწვევის სავარაუდო თარიღამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა შეიძლება სხდომა ჩაატარონ აღნიშნული შეტყობინების ვადის დაუცველად, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა წევრი ერთხმად დაეთანხმება ამგვარი სხდომის ჩატარებას და დაესწრება მას. ამგვარ სხდომაზე ყველა წევრის დასწრება ავტომატურად ჩაითვლება მათი თანხმობის მტკიცებულებად, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის, აღნიშნული შეტყობინების გაგზავნის ვადის დაუცველად ჩატარებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია:

- სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს გენერალური დირექტორის საქმიანობას;
- სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს გენერალური დირექტორისაგან „საზოგადოების“ საქმიანობის ანგარიში;
- სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს „საზოგადოების“ ფინანსური დოკუმენტაცია;
- სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს პარტნიორს.;
- თუ „საზოგადოების“ წინაშე ლიზინგის მიმღების ჯამური ვალდებულება (გასაცემი/დასამტკიცებელი ლიზინგის ჩათვლით) კონკრეტული მომენტისათვის აღემატება 2 000,000 (ორი მილიონი) აშშ დოლარს.
- გენერალური დირექტორის დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;
- სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია შექმნას აუდიტის კომიტეტი („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად);
- ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია;
- წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;

- ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;
- ფასიანი ქაღალდების გამოშვება ან/და საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

### **კომპანიის გენერალური დირექტორი**

კომპანიის გენერალური დირექტორია ელდარ ახვლედიანი. ის „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ გენერალური დირექტორის პოზიციას 2015 წლის 1-ლი აპრილიდან იკავებს. მას საბანკო სფეროში მუშაობის 16 წლიანი გამოცდილება აქვს, საიდანაც 11 წელზე მეტი მუშაობდა სს „საქართველოს ბანკში“ სხვადასხვა პოზიციაზე. ბოლო 9წელი ის სს „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული საბანკო მომსახურების მიმართულებით უმსხვილეს ბიზნეს სექტორებს ხელმძღვანელობდა. მისი პროფესიული კარიერა მოიცავს წლებს, როდესაც საბანკო სექტორმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა, რამაც მას ფასეული გამოცდილება შესძინა ამ სფეროში. ელდარს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საბანკო და საფინანსო მიმართულებით.

### **პარტნიორების უფლებები და მოვალეობები**

საზოგადოებას ჰყავს ერთი პარტნიორი, სს „საქართველოს ბანკი“

„საზოგადოების“ პარტნიორს გააჩნია და ეკისრება ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებები და ვალდებულებები.

თანაბარ პირობებში პარტნიორებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ.

ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს უშუალოდ ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით და საზოგადოების ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ოღონდ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიში არასწორადაა შედგენილი, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება საზოგადოებას. კონტროლისა და შემოწმების ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ კანონით.

„საზოგადოების“ პარტნიორს აქვს „საზოგადოებაში“ საკუთარი წილის (ან მისი ნაწილის) განკარგვის სრული და შეუზღუდავი უფლება (მათ შორის შეუზღუდავად, გაყიდვის, გაჩუქების, გაცვლის, დაგირავების უფლება).

პარტნიორი, პარტნიორთა საერთო კრების ნებართვით, უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ დაუთმოს თავისი წილი (წილის ნაწილი) საზოგადოების ერთ ან რამოდენიმე პარტნიორს ან მესამე პირს.

პარტნიორი მესამე პირისათვის საწესდებო ფონდში თავისი წილის (წილის ნაწილის) გადაცემასთან ერთად გადასცემს მას ასეთ წილთან (წილის ნაწილთან) დაკავშირებულ ყველა თავის უფლებასა და მოვალეობას;

პარტნიორები სარგებლობენ პარტნიორის მიერ დასათმობი წილის (წილის ნაწილი) შექმნის უპირატესობით საწესდებო ფონდში მათი წილის პროპორციულად.

„საზოგადოების“ პარტნიორს აქვს თავისი წილის პროპორციულად „საზოგადოების“ მოგებიდან დივიდენდის მიღების უფლება. დაუშვებელია საკუთარი წილის შექმნა.

პარტნიორები, რომელთა წილი ერთად შეადგენს საწესდებო კაპიტალის ხუთ პროცენტს, უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა ამ კრების მიზნებისა და საფუძვლების მითითებით.

პარტნიორები ერთობლივად აკონტროლებენ საზოგადოების ხელმძღვანელობას.

„საზოგადოების“ გენერალურმა დირექტორმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მას ინფორმაცია „საზოგადოების“ საქმიანობის შესახებ და ნება დართოს გაეცნოს „საზოგადოების“ წიგნებსა და ჩანაწერებს.

„საზოგადოების“ პარტნიორი ვალდებულია არ გაახმაუროს „საზოგადოების“ საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია და თავისი ქმედებით ან უმოქმედობით არ შელახოს „საზოგადოების“ იმიჯი ან/და საქმიანი რეპუტაცია.

## **აუდიტის კომიტეტი**

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია აუდიტის კომიტეტი, რომლის ძირითადი ფუნქციაა შიდა აუდიტისა და გარე აუდიტის ფუნქციონირების ხელშეწყობა. აუდიტის კომიტეტი შედგება არანაკლებ სამი წევრისაგან, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. აუდიტის კომიტეტში უნდა შევიდეს არანაკლებ ერთი სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. აუდიტის კომიტეტის სხვა წევრებს ასევე ნიშნავს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო.

აუდიტის კომიტეტის წევრები არიან:

ზურაბ ქოქოსაძე (პ/ნ 62001032255) - აუდიტის კომიტეტის წევრი  
გიორგი ჭილაძე (პ/ნ 01008008277) - აუდიტის კომიტეტის წევრი  
ნიკოლოზ ალავიძე (პ/ნ 59001000119) - აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი / თავმჯდომარე  
ლევან ყულიჯანიშვილი (პ/ნ 03001000435) - აუდიტის კომიტეტის წევრი

აუდიტის კომიტეტის უფლება-მოვალეობები:

- განსაზღვროს შიდა აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და კონტროლის შესაბამისი წესები და განახორციელოს მათი დაცვის ზედამხედველობა;
- თვალყური ადევნოს კომპანიის მიერ მოქმედი კანონმდებლობის დაცვას;
- დაამტკიცოს შიდა აუდიტის სამსახურის დებულება და ორგანიზება გაუკეთოს მის ფუნქციონირებას
- უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის ობიექტურობა და დამოუკიდებლობა სამეთვალყურეო საბჭოსგან და გენერალური დირექტორისაგან;
- დაამტკიცოს შიდა აუდიტის სამსახურის კვარტალური მოხსენებები, აუდიტორული შეფასება და რეკომენდაციები;
- ზედამხედველობა გაუწიოს შიდა აუდიტის სამსახურის მუშაობას;
- დაამტკიცოს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული შიდა აუდიტის წლიური სამუშაო პროგრამა;
- აუდიტის კომიტეტი იკრიბება კვარტალში ერთხელ მაინც, ხოლო საგანგებო შემთხვევებში კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე.
- აუდიტის კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს კომიტეტის დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, რომლებსაც კენჭისყრის დროს თავის შეკავების უფლება არ აქვთ.

აუდიტის კომიტეტს ხელმძღვანელობს კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო.

## 2.2. ფინანსური ანგარიშგების პროცედურები და რისკის მართვა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცედურის მართვას და მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფინანსური დეპარტამენტი. პროცესის საერთო მონიტორინგს ხელმძღვანელობს ფინანსური დირექტორი (CFO). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წლიური პაკეტის და კვარტალური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხდება ფასს-ის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური დეპარტამენტი ამზადებს ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს, რომელსაც შემდგომ გადახედავს და ამტკიცებს კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი. შემდგომ საინფორმაციო პაკეტები წარედგინება დედა კომპანიის ბიუჯეტირების და ანგარიშგების ჯგუფს, რომელიც განიხილავს ანგარიშგებს და ახდენს მათ კონსოლიდაციას ჯგუფის და ბანკის ფინანსურ ანგარიშგებებში.

დედა კომპანიის ფინანსური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ ფინანსურ ანგარიშგებებს განიხილავს დირექტორთა საბჭო, აუდიტის კომიტეტი, სამეთვალყურეო საბჭო და გარეშე აუდიტორები. ბანკის და ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებები ნებადართულია გამოსაცემად დირექტორთა საბჭოს, აუდიტის კომიტეტის და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ბანკის და ჯგუფის აუდიტის დეპარტამენტი რეგულარულად გადახედავს ბანკის და ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებებს და წარუდგენს ფინანსურ დეპარტამენტს და ჯგუფის ანგარიშგების და ბიუჯეტირების ჯგუფს განსახილველი საკითხებით და გაუმჯობესების რეკომენდაციებით.

## 3. არაფინანსური ანგარიშგება

### 3.1. ბიზნეს პროცესები და პოლიტიკა

#### სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა

კომპანია იყენებს სპეციალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფას (Microsoft Dynamics NAV). აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა მოიცავს ლიზინგს, ფასს, საგადასახადო აღრიცხვას და ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებულ ფუნქციებს.

#### ბიზნესის უწყვეტობის პოლიტიკა

კომპანიას აქვს ბიზნესის უწყვეტობისა და უბედური შემთხვევისგან აღდგენის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს პროცედურებსა და იმ ღონისძიებების ერთობლიობას, რომელმაც კრიზისული სიტუაციის დაფიქსირების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს კომპანიის კრიტიკული ბიზნეს პროცესების უწყვეტობის შენარჩუნება, ხოლო შეჩერების შემთხვევაში უმოკლეს ვადაში მათი აღდგენა.

ბიზნესის უწყვეტობის გეგმის არსებობა და მისი რეგულარული ტესტირება კომპანიისთვის არის გარანტი იმისა, რომ კრიზისულ სიტუაციებში თავიდან იქნება აცილებული გაუთვალისწინებელი სირთულეები და კომპანია შეძლებს დაკისრებული ფუნქციების და საქმიანობის მოკლე პერიოდში აღდგენას და შეუფერხებელ შესრულებას.

კომპანიის ბიზნეს უწყვეტობის გეგმის დოკუმენტში აღწერილი პრინციპები ეფუძნება ბიზნეს უწყვეტობის მართვის ISO22301 სტანდარტს.

აღნიშნული გეგმა მოიცავს გლობალურ და ლოკალურ საფრთხეების.

გლობალური საფრთხეებად მიჩნეულია შემდეგი მოვლენები: საომარი მდგომარეობა, სტიქიური უბედურებები, პანდემია, სხვა მოვლენები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის საქმიანობაში მნიშვნელოვანი შეფერხებები.

ლოკალურ საფრთხეებად მიჩნეულია ისეთი მოვლენები, რომლებიც წარმოიშობა კომპანიის შიგნით და არ სცილდება კომპანიის ფუნქციონირების არეალს. ასეთებია: ხანძარი, მძევლად აყვანა, დანადგმა, მომწამვლელი გაზი, გაფიცვები, საბოტაჟი, სრულიად საიდუმლო და მკაცრად კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვა/მოპარვა, კიბერ შეტევა, IT სისტემების და პროგრამების გათიშვა და სხვა მოვლენები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის საქმიანობაში მნიშვნელოვანი შეფერხებები.

ბიზნესზე ზემოქმედების ანალიზის შედეგად, ხორციელდება ბიზნეს პროცესების რისკების შეფასება და მათი კრიტიკულობის დადგენა.

ბიზნესის უწყვეტობის გეგმით განსაზღვრულია კრიტიკული ობიექტებისათვის მათში განთავსებული ბიზნეს ფუნქციებისათვის სარეზერვო ლოკაციით მათი უზრუნველყოფის გეგმა.

კრიზისის მართვის კომიტეტი შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკის შესაბამისად და პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე. აღნიშნული კომიტეტი ვალდებულია:

- შეაფასოს მიმდინარე მოვლენა როგორც კრიზისული სიტუაცია;
- მიიღოს გადაწყვეტილება ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ამოქმედებაზე;
- მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამის თანამშრომლების ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ამოქმედების თაობაზე;
- მართოს კომპანია კრიზისულ სიტუაციაში;
- დაამყაროს კონტაქტი სახელმწიფო სტრუქტურებთან;
- მიიღოს გადაწყვეტილება სარეზერვო ლოკაციის ამოქმედების შესახებ;
- შექმნას საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი;
- მიაწოდოს ინფორმაცია შექმნილ სიტუაციაზე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს.

ბიზნესის უწყვეტობის გეგმა მოიცავს რეაგირების რამდენიმე ფაზას:

- მოვლენის დაფიქსირება და მისი კვალიფიკაცია კრიზისულ სიტუაციად;
- ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ამოქმედებაზე გადაწყვეტილების მიღება;
- BCP გეგმის ამოქმედებისათვის მომზადების პერიოდი;
- ბიზნესის უწყვეტობის გეგმის მოქმედების პერიოდი;
- სრული აღდგენის ფაზა, ძირითად პროცესზე სრული დატვირთვით გადასვლა;

### **სალიზინგო აქტივების მართვის პოლიტიკა**

კომპანიისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სალიზინგო აქტივების ეფექტურ მართვას, რისთვისაც კომპანიას ყავს მაღალკვალიფიციური გუნდი და შემუშავებული აქვს ეფექტური პროცესები სალიზინგო აქტივების მიმართულებით რისკიანობის მაქსიმალურად დაბალ დონეზე შესანარჩუნებლად.

კომპანიის სალიზინგო აქტივების მართვის პოლიტიკა შემდეგნაირია:


- ყველა აქტივი ფასდება ინდივიდუალურად, ლიზინგის გაცემამდე
- ლიზინგის გაცემის შემდეგ ხდება აქტივების მონიტორინგი - 6 თვეში ერთხელ, რიგ შემთხვევებში (კომიტეტის გადაწყვეტილებით) ნაკლები პერიოდულობით. გარდა მსუბუქი ავტომობილებისა, რადგან არ არის ხშირად გადამოწმების საჭიროება თუ კლიენტს ყოველთვიური გადასახადის გადახდის შეფერხება არ აქვს
- ყველა აქტივი სურათდება და მონიტორინგის აქტებთან ერთად ინახება კომპანიაში
  - მონიტორინგის დროს ასევე ხდება პრობლემის დაფიქსირება ასეთის არსებობის შემთხვევაში, მაგ.: თუ კლიენტი არღვევს ექსპლუატაციის პირობებს, თუ აქტივი მოსალოდნელზე გაცილებით უარეს მდგომარეობაშია და ა.შ.
- ლიზინგის გაპრობლემების შემთხვევაში, ჩამორთმეული აქტივი სურათდება, აღიწერება და გადადის საწყობში
- ყველა აქტივი დაზღვეულია (მათ შორის რისკიან კლიენტებზე აქტივები დაზღვეულია „გაუჩინარების რისკზე“, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ 3 თვეში ვერ მოხდება აქტივის მოძიება, სადაზღვეო კომპანია ანაზღაურებს მთლიან თანხას)

### **ლიზინგის პოლიტიკა და პროცედურები**

კომპანიას შემუშავებული აქვს პროცედურები პროექტების დამტკიცებისა და გაცემისთვის, პროექტების მონიტორინგისთვის, რეზერვების შექმნისთვის, ვადაგადაცილებული გადასახადების მართვისთვის,

აქტივების ჩამორთმევისთვისა და ყველა მნიშვნელოვანი პროცესისთვის რაც კომპანიაში მიმდინარეობს. ეს პროცედურები ჩამოყალიბებულია კომპანიის მიერ მიღებულ შიდა დოკუმენტებში.

**პროექტის დამტკიცებისა და გაცემის პროცედურა** შემუშავდა მომხმარებლის უკეთ მომსახურების, მომსახურების სტანდარტიზაციის და საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. ეს პროცედურა მოიცავს შიდა და სამეთვალყურეო ზედამხედველობას, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვას და რამდენიმე საფეხურიან კონტროლს, რათა თავიდან იქნეს აცილებული შეცდომები ან / და თაღლითობა.



**შენიშვნა:** კომპანიის სალიზინგო პროგრამული უზრუნველყოფა "Microsoft Dynamic NAV" შექმნილია მოწინავე პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, „ერნსტ & იანგის“ რეკომენდაციით, სათანადო პროცესების გაუმჯობესების, მეტი სტანდარტიზებისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

**პროექტის მონიტორინგის პროცედურა** ორი კომპონენტისგან შედგება:

- ლიზინგის **ფინანსური მონიტორინგი**, რომელიც შერჩევით და იშვიათად გამოიყენება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის გამცემს ეჭვები აქვს ლიზინგის მიმღების ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებით და მნიშვნელოვან რისკებს ხედავს ლიზინგის დაფარვის კუთხით. აღნიშნული მონიტორინგი ითვალისწინებს გირაოების, საგადასახადო ვალდებულებების, გაყიდვების მონაცემების შემოწმებას და სხვა. ფინანსურ მონიტორინგს ლიზინგის მენეჯერი ატარებს კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად;
- **ტექნიკური მონიტორინგი** მიზნად ისახავს უზრუნველყოფის სალიზინგო აქტივების მდგომარეობის გადამოწმება და მათი მიმდინარე ღირებულების დადგენა. ლიზინგის აქტივის მონიტორინგი ტარდება ყოველ 6 თვეში ერთხელ (არის გამონაკლისებიც როდესაც მონიტორინგი ტარდება უფრო მაღალი სიხშირით) ლიზინგის დაწყებიდან თუ საგანგებო გარემოებების გამო არ გახდება საჭირო დაუგეგმავი მონიტორინგის ჩატარება. მონიტორინგი, როგორც წესი, გაუფრთხილებლად ტარდება, ხოლო ლიზინგის გამცემის წარმომადგენელს გარანტირებული წვდომა აქვს აქტივზე, რაც უზრუნველყოფილია ლიზინგის ხელშეკრულების პირობებით. ტექნიკურ მონიტორინგს კომპანიის ექსპერტთა ჯგუფი ატარებს.
  - o ფიზიკურ პირებზე გაცემულ ლიზინგებზე არ ხდება აქტივების (მსუბუქი ავტომობილების) მონიტორინგი.

**ვადაგადაცილებული პორტფელის მართვის პროცედურა** ადგენს ვადაგადაცილებული გადახდების მართვის წესებს, შესაბამის ზომებს და ხაზს უსვამს ადრეული რეაგირების და ლიზინგის მიმღებთან მჭიდრო ურთიერთქმედების მნიშვნელობას, რომ შემცირდეს ტექნიკური, ფინანსური და სასამართლო ღირებულების რისკები.

თავდაპირველად ლიზინგის მენეჯერი ურეკავს ლიზინგის მიმღებს და ატყობინებს გადახდის შესახებ გადახდის თარიღამდე 1 ან 2 დღით ადრე. (ავტომატური SMS შეტყობინების სისტემა 2018 წლის მეოთხე კვარტალში დაინერგა) იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ახორციელებს სათანადო გადახდას კომპანია შემდეგ პროცედურებს მიმართავს:

ვადაგადაცილების დღიური მონიტორინგი	დღეები	5	10	15	20	25	30	35	40	45	50	55	60	65	70	75	80	85	90	95	100
ლიზინგის გამგეში აგზავნის ფორმალურ წერილს ლიზინგის მიმღებთან ვადაგადაცილებული გადასახადის შესახებ	3-5 დღე																				
ლიზინგის მიმღები იღებს ყოველდღიურ შესხენებას ვადაგადაცილებული გადახდებთან დაკავშირებით	1-45 დღე																				
ლიზინგის მენეჯერი მუშაობს ლიზინგის მიმღებთან რათა გამოიკვლიოს ვადაგადაცილების მიზეზები	5-45 დღე																				
პრობლემური ლიზინგის პორტფელის მენეჯერი იწყებს მუშაობას შემთხვევაზე	45-90 დღე																				
ლიზინგის გამგეში იღებს გადაწყვეტილებას რომ დაიბრუნოს აქტივი	90+ დღე																				

### რეზერვირების პროცედურა

კომპანიის სალიზინგო მოთხოვნების რეზერვირების მეთოდოლოგია სრულად ეფუძნება საერთაშორისო ფინანსური რეპორტირების სტანდარტებს (IFRS 9), რაც გულისხმობს, რომ მეთოდოლოგია და კალკულაცია დამოკიდებულია სამომავლო დაშვებებსა და ტენდენციებზე.

რეზერვირების მიზნებისთვის კომპანია სალიზინგო პორტფელს ყოფს 2 ნაწილად (იურიდიული და ფიზიკური პირები), რომლებიც თავის მხრივ ასევე ორ-ორ კატეგორიად იყოფიან:

- იურიდიული პირები:
  - სამშენებლო სექტორი;
  - იურიდიული პირები. გარდა სამშენებლო სექტორისა;
- ფიზიკური პირები:
  - ტურბო;
  - ფიზიკური პირები, გარდა ტურბოსი;

ოთხივე კატეგორიისთვის კომპანია იყენებს კოლატერალიზირებულ მიდგომას, რაც ნიშნავს, რომ თითოეული სალიზინგო პროექტისთვის კომპანია აფასებს გალიზინგებული აქტივის ღირებულებას და ადარებს ლიზინგის დებიტორულ დავალიანებას, მათ შორის სხვაობას კი ამრავლებს პროექტის დეფოლტის ალბათობაზე.


პროექტის დეფოლტის ალბათობის დაანგარიშება ხდება უკანასკნელი სამი წლის სტატისტიკით, რაც თავისმხრივ კორექტირდება სამომავლოდ კლიენტების შესაძლო გადახდისუნარიანობის ალბათობით. რეზერვირების მიზნებისთვის ოთხივე კატეგორიის დეფოლტის ალბათობის დათვლის პრინციპი არის მსგავსი, თუმცა განსხვავდება სტატისტიკური მონაცემები და შესაბამისად მიღებული დეფოლტის ალბათობებიც.

სამომავლოდ კლიენტების შესაძლო გადახდისუნარიანობის ალბათობის დათვლა ხდება ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური პროგნოზების მიხედვით. კერძოდ, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისთვის, ხდება კორელაციის დადგენა ისტორიული დეფოლტის ალბათობასა და მაკროეკონომიკურ შედეგებს შორის. მიღებული კორელაციისა და პროგნოზირებული მაკროეკონომიკური პარამეტრების მიხედვით დგინდება სამომავლოდ კლიენტების შესაძლო გადახდისუნარიანობის ალბათობა.



## აქტივებზე საკუთრების უფლების აღდგენის პროცედურა

აქტივზე საკუთრების უფლების აღდგენა ხდება მაშინ, როდესაც ლიზინგის მიმღებს აღარ შეუძლია გადახდა და ლიზინგის გამცემი (კომპანია) გადაწყვეტს, რომ აღიდგინოს აქტივზე საკუთრების უფლება.



### 3.2. ჩვენ გუნდი

ანგარიშგების თარიღისათვის დასაქმებულია 80 თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან, ჩვენ არჩევანს ვაკეთებთ ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ.

კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს. ასევე კომპანიისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ღია კომუნიკაცია მენეჯმენტსა და საშუალო და დაბალი რგოლის თანამშრომლებს შორის, რაც უფრო მეტად ზრდის სამართლიანობასა და გამჭვირვალობას.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

### ჯანსაღი გარემო შრომისთვის

კომპანია, როგორც ბიჯეო ჯგუფში შემავალი ერთ-ერთი შვილობილი კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხარებლების პერსონალურ მონაცემებს. რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია. ასევე ახორციელებს არსებული კანონმდებლობის ფარგლებში სოციალური, გარემოს დაცვის და ადამიანის უფლებების შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოსა და ცვლილებებთან თანხვედრას.

## **ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე**

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, კომპანია მაქსიმალურად ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გავითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო შრომისათვის.

კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

## **კორუფციასთან ბრძოლა**

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. ჩვენ მაქსიმალურად მკაცრად ვაფასებთ ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

ამ სფეროს დასარეგულირებლად კომპანია იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

## **ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები**

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - გენერალური დირექტორი.

ელდარ ახვლედიანი

გენერალური დირექტორი

შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“

